# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 76 — სამშაბათი, 6 აპრილი 1910 წ. — № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელი არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10—საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვაკის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



კნეინა მარიამ ალექსანდრეს ასული და ნიაკნა ქეთევან ივანეს ასული რუსიშვილები უღრმეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 3 აპრილს ტრაგიკულად გარდიცვალა ძვირფასი სიძე

**თავ. გრიგოლ კონსტანტინეს ძე ერისთავი**

დაკრძალვა სოფ. ფლავში (გორის მაზრა) შაბათს, 7 აპრილს.

---

## ქართული თეატრი

პარასკევს, ამა აპრილის 9-სა,

**წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

—გაიმართება—

## ლიტერატურული გასამართლება

„ღალატის" გმირებისა ზეინაბის და ოთარ-ბეგისა

(ზეინაბი ქ. ს. რომანიშვილისა, ოთარ-ბეგი—ვ. გუნია).

**ბრალმდებლები არიან**: ბ-ნნი იოს. მაჭავარიანი და ვახ. ღამბაშიძე.

**დამცველები:** ბ-ნნი კ. აბაშიძე და გრ. რობაქიძე.

**მოსამართლენი:** ბ-ნნი იოს. ბარათაშვილი, გრ. დიასამიძე და ივ. ზურაბიშვილი.

**ნაფიცი მსაჯულები:** ბ-ნნი ივ. გომართელი, ილ. ზურაბიშვილი, დ. კარიჭაშვილი, გ. ლასხიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ს. მგალობლიშვილი, ალ. ყანჩელი, ალ. ყიფშიძე, გრ. ყიფშიძე.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (4—1)

---

დაიბეჭდა და აპრილის 10-ს დარიგდება „**ფასკუნჯის**" პირველი ნომერი შემდეგის შინაარსით:

1. «სიმღერა», განდეგილისა. 2. „ზღაპარი", გ. მაყაშ—სა. 3. «ლანდები», პოემა ა. შანშიაშვილისა. 4. „საბედისწერო დამბაჩა", დრამა ერ. რამიშვილისა. 5. «კუზიანი", ინდ. პოემა, თარგ. ა. სარაჯიშვილისა. 6. „გ. სუნდუკიანცს", აკაკისა. 7. „ნაწყვეტები", ეგ. გაბაშვილისა. 8. „დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის მგოსნები", ნ. მარრისა, თარ. გრ. ყიფშიძისა. 9. „თარის ხმა" (ლექსციიდან), გრ. რობაქიძისა. 10. «გ. წერეთელი», კ. აბაშიძისა. 11. «რა არის ტრაგედია», კალამისა. 12. «მომავალის ცეკვა», აის. დუნკანისა, თარ. ა. ფაღავასი. 13. განცხადება, აკაკისა. 14. სურათის ახსნა.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი სურათები: 1. [illegible] 2. მწუხარება, ქანდაკება ი. ნიკოლაძისა, ფოტოტიპიური სურათი. 3. ეგ. გაბაშვილის პორტრეტი, ფოტოტიპიური სურათი. 4. მეღრმეცე წლების მოღვაწენი. 5. რაფაელის პორტრეტი. 6. ღვთისმშობელი, რაფაელის სურათი. 7. ბავშვი, მისივე სურათი. 8—10. ინგლისელი არტისტი ირვინგი ჰამლეტის, შეილოხას და რიშელიეს როლებში. 11 მუსიკა და ცეკვა.

**ფასი პირველი N-სა 75 კაპ.**

ჟურნალი წლით ღირს 5 მან. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება ამ ადრესით: ტფილისი, წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზია, ან სტამბა სორაპანი.

პირველი N-ი იყიდება ყველგან. რედ. გამომც. ს. ფირცხალავა (3—2)

---

## მაღაზია
## ო დერნიე კრი

სასახლის ქუჩა № 6.

სხვა მაღაზიაში გადასვლამდე მიიღო დიდ-ძალი შლიაპები ქლებისა და ბავშვებისა და დანარჩენი სხვა საქონელი. ტანისამოსი ტიულისა, ბატისტისა, მანტო, ტიულის ჩულქები და სხვა იყიდება ნახევარ ფასად.

(2—ხალ.—1) **გ. ს. ჯიშკარიანი.**

---

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი
## ქუთაისში

მით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა**, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—44)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „მეტეხის" საცურაოს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ.- დღე საათ. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საა[illegible]

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ[illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 [illegible]

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., დღგ, 9—11 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2 2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირ., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სხოლლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოვ.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით [illegible]., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—149)

---

**ექიმი** გაბ. ი. გოკიელოვი
ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის სამუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს $6^{1}/_{2}$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—კვ.—41)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში
ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—405)

**ექიმი** ქუთაისში
კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—12)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში
ა. ა. ბუტულოვისა

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—15

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—40

**ექიმი** შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—65)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩრაია). (0—99

**ექიმი** ქუთაისში
ფ. ი. გასნევსკი

იღებს ავადმყოფებს შინაგან სნეულებათა და მებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. გაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—23)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი** დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^{1}/_{2}$-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ.. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგუცკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^{1}/_{2}$ საათ.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წრატით. (100—6.—30)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^{1}/_{2}$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—312)

---

**ექიმი** კბილისა
ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)


## ტფილისის ქალაქის
## გამგეობა

იწვევს სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეებს (ნოქრებს) **მეორე საზოგადო კრებაზე** 11 აპრილს 1910 წელს, დილის 11 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში (ერევნის მოედანი). კრებამ უნდა აირჩიოს ექვსი წევრი შერეულ კომისიაში, რომელიც შეიმუშავებს სავალდებულო დადგენილებებს მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების შესახებ.

კრებაზე დასწრების უფლება აქვთ სრულ-წლოვან მოსამსახურეებს (ნოქრებს), თითოს თითო დაწესებულებიდან, რომელიც არჩეულ უნდა იქმნას, როგორც წარმომადგენელი ამა თუ იმ დაწესებულების სრულწლოვან მოსამსახურეებისაგან (ნოქრებისაგან). კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეებს, რომელთაც 1909 წელს გადაუხდიათ სამრეწველო გადასახადი. კრებაზე შესვლისას მონაწილეებმა უნდა წარადგინონ რწმუნების ქაღალდები, რომელზედაც ხელი უნდა ეწეროთ ამომრჩევლებს.

ეს კრება მეორედ ინიშნება, ამიტომ კანონიერად ჩაითვლება, რამდენი კაციც უნდა დაესწროს. (3—6.—2).


## შპალერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

**ძმ. ტარნოპოლებისა**

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—7)


## კავკავის განყოფილება

**ქ.-შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებისა**

ამით აცხადებს, რომ მომავალ აგვისტოს თვიდან **კავკავის ქართულ სკოლაში თავისუფლდება მასწავლებლის ადგილი.**

ჯამაგირის რაოდენობა გადასწყდება აგვისტოს დამდეგში. თხოვნები და საჭირო საბუთები უნდა გამოიგზავნოს კავკავში წ.-კ. გ. ს. განყოფილების გამგეობის სახელზე, ქართულ სკოლაში. (3—1)


## ქვის ქარხანა

გვაქვს დამზადებული ძეგლები, მშვენიერი ფორმისანი, ალგეთის ქვისა და განჯის ფერად და თეთრ მარმარილოსი, დიდრონები და პატარებიც, ყველა ფასიანი. აგრეთვე ვიღებთ შეკვეთით იტალიის თეთრ მარმარილოს ძეგლებს.

შეკვეთილი ძეგლები მზადდება სუფთად, ჩვენ თითონვე ვმართავთ საფლავზე, ძეგლები მაისის გასვლამდე მეტად დაკლებულ ფასებში გაიყიდება.

ადრესი: კუკიის სასაფლაოს პირდაპირ, **ქვის ქარხანა გრიგოლ და ლევანტი მიროტაძეებისა.** (8—208—5)


## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**საიჯარო ადგილებზე შენობების აგება.**

3 აპრილს სათათბირომ განაგრძო იმ კანონ-პროექტის განხილვა, რომელიც შეეხება საიჯარო ადგილებზე შენობების აგებას. სიტყვები წარმოსთქვეს კოვალენკომ, მინისტრის ამხანაგმა ლიკოშინმა, ბელიაევმა, ბერეზოვსკიმ. სათათბირომ დაადგინა, შეუდგეს კანონ-პროექტის მუხლებრივ განხილვას და შეუდგა კიდეც. სხვა და სხვა მუხლის შესახებ ილაპარაკეს ტიმოშკინმა, ეფრემოვმა, ბერეზოვსკიმ, ეგოროვმა, ლუჩიცკიმ, კარიაკინმა, შიდლოვსკიმ, ბარ. ჩერკასოვმა, ვინკოვიჩმა. მეოთხე მუხლში ნათქვამია, შენობების აგება საიჯარო ადგილებზე შეუძლიანთ მხოლოდ იმათ, ვისაც უფლება აქვთ ადგილების შეძენისა. ფრიდმანმა წინადადება შეიტანა, რომ ებრაელებსა და პოლონელებსაც მიეცეთ უფლება შენობების აგებისა საიჯარო ადგილებზე. ამ წინადადებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ოქტომბრისტები და მემარჯვენენი, რასაკვირველია, წინააღმდეგნი იყვნენ. სათათბირომ უარჰყო ფრიდმანის წინადადება.

სათათბირომ ამ სხდომაზე განიხილა კანონ-პროექტის რამდენიმე მუხლი.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

4—5 აპრილი.

**საზღვარ-გარედ.**

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. ტარნოვსკაიას დამცველის მიერ გამოწვეულმა ექსპერტმა, პროფესსორმა ტუნციმ მიემხრო სხვა ექსპერტთა აზრს, რომ ტარნოვსკაია ჭკუის სისუსტით არის შეპყრობილი და მოითხოვა, რომ ბრალდებულს სასჯელი შეუსუბუქდეს, პროკურორის, რანდის ავადმყოფობის გამო შემდეგი სხდომა მოხდება 13 აპრილს.

პროკურორის თხოვნით გამოწვეულმა ექსპერტმა ბორიმ სთქვა, თუმცა ტარნოვსკაია ნერვებით არის ავად, მაგრამ სასჯელი შესუმსუქება მეტი იქნებაო.

**ამოი**. რადგანაც ჩანშეში არეულობაა, ამიტომ ხანკოუში გაიგზავნა ამერიკის კრეისერი.

**მარსელი**. პრეფექტის სიტყვით, მარსელში წესიერება, რომელიც გაფიცულმა მუშებმა დაარღვიეს, უკვე აღდგენილია.

**კოპენჰაგენი**. გათავდა რიკსდაგის ჩვეულებრივი სესსია.

**სტამბოლი**. დეპუტატთა პალატა შეუდგა სამხედრო ბეგარის შესახებ კანონ-პროექტის განხილვას. ზოგიერთმა დეპუტატებმა წინადადება შეიტანეს, რომ ჯარში სამსახურის ვადა 2 წლით განისაზღვროსო. წინადადებამ დიდი კამათი გამოიწვია. წინადადების განხილვა სხვა დროსთვის გადაიდო.

ალბანიაში ჯარსა გზავნიან. დღეს გაიგზავნა ორი ბატალიონი და ორი ბატარეია.

**სოფია**. მთავრობამ სტამბოლში გაგზავნა გენერალი ველჩევი და მაიორები მარკოვი და ტაპჩილეშტევი. ამათ დავალებული აქვთ ოსმალეთის წარმომადგენლებთან ერთად მოაწესრიგონ ოსმალეთ-ბოლგარიის საზღვრები.

**პეკინი**. ეს სამი თვეა, რაც რუსეთის და ჩინეთის წარმომადგენლებს მოლაპარაკება აქვთ მდინარე სუნგარის ნაოსნობის შესახებ. შეთანხმების ზოგიერთმა მუხლებმა წარმომადგენლებში უთანხმოება გამოიწვია. უთანხმოების მიზეზი ის არის, რომ რუსეთის წარმომადგენლები ემყარებიან აიგუნის და პეტერბურგის ხელშეკრულობაზედ, ჩინელები კი უარ-ჰყოფენ ამ ხელ-შეკრულობებს.

**პრიშტინა**. ჯარის ჩამოსვლის შემდეგ ალბანიაში შედარებით მშვიდობიანობა დამყარდა. მეამბოხეებმა მიატოვეს ძველი პოზიციები. საფიქრებელია, რომ მეამბოხეებს მდინარე ლანგენსკენ დაეხიოთ და იქ გამაგრებულიყვნენ. ქალაქი სამხედრო ბანაკს წააგავს, გორაკები სავსეა კარვებით. ამ ჟამად აქ არის 18 ბატალიონი და 6 ბატარეია. დანარჩენი 11 ბატალიონი ფერიზოვიჩში. ჯარი არ მოქმედებს. ხვალ ელიან შევკეთ-ტურგუტ-ფაშას, რომელსაც თან ჩამოჰყვება 8 ბატალიონი. მეამბოხეებთან მოლაპარაკებამ ნაყოფი ვერ გამოიღო. დაპატიმრებული ცხრა კაცი გაანთავისუფლეს. ესენი მეამბოხეების მეთაურები ეგონათ. ალბანელები სერიოზულად უნდა ემზადებოდნენ შემდეგი მოქმედებისთვის.

**შტუტგარდი**. სასამართლომ გაარჩია ჟურნალ „სიმპლიცისსიმუსის" რედაქტორის საქმე. ბრალდებოდა ეპისკოპოს კეპლერის და სამღვდელოების შეურაცხყოფა. რედაქტორს ორი თვით დატუსაღება მიუსაჯეს.

**ბერლინი**. საღამოს 7 საათამდის მოსულ ცნობებით საამშენებლო სამრეწველოდან დაითხოვეს 140,000 კაცი.

**დრეზდენი**. ლანდგერიხტმა გაარჩია რუსი მხატვრის მოდროვის საქმე. ბრალდებოდა გამოჩენილ მხატვართა სურათების მოპარვა. სასამართლომ მოდროვს მიუსაჯა წელიწად ნახევრით სატუსაღო.

**ქრისტიანია**. ჩრდილოეთ ნორვეგიაში დიდი ქარიშხალი ამოვარდა. ზღვაში დაიღუპა რამდენიმე ნავი. ჯერ-ჯერობით იტყობინებიან, რომ დაიღუპა 12 მეზღვაურიო.

**ლონდონი**. ქალაქში დიდი წვიმა მოვიდა. ქუჩები სულ წყლით აივსო. დაიღუპა რამდენიმე კაცი. ერთს სახლს მეხი დაეცა და ამის გამო ცეცხლი გაუჩნდა. პროვინციაში ქარიშხალმა მცხოვრებლებს დიდი ზარალი მიაყენა.

**ბერლინი**. „ფოსიშე-ცაიტუნგი" ეხება სპარსეთის საქმეებს და სწერს: რუსეთმა და ინგლისმა სპარსეთს სესხის მისაცემად ისეთი პირობები წარუდგინეს, რომ სპარსელებს ეშინიან უცხოელების საფინანსო კონტროლი ყველა საქმეებში არ ჩაერიოს. სპარსეთი იბრძვის რუსეთის მანეთის და ინგლისის გირვანქის წინააღმდეგ. ინგლისს და რუსეთს ეშინიანთ გერმანიის მარკისა. გერმანია ფულის გასესხების დროს არც ერთ სახელმწიფოს უბრალო ექსპლოატაციის ობიექტად არა სთვლიდა და ყოველთვის დიდ სამსახურს უწევდაო. „ნაციონალცაიტუნგის" სიტყვით ინგლისის მოქმედება უპატიოსნოა. გაზეთის აზრით, სპარსეთს ეხლა უფლება აქვს ინგლისის და რუსეთის დაუკითხავად სხვას მისცეს რკინის გზის კონცესია. „ფრანკფურტერ-ცაიტუნგს" სურს, რომ კონცესიების გაცემის უფლება გერმანიის ხელში იყოს.

**სოფია**. მაკედონელების ემიგრანტების საქველმოქმედო და კულტურულმა დაწესებულებებმა მიტინგი გამართეს და პროტესტი განაცხადეს, რა მოსაზრების ძალით დანიშნა მიტროპოლიტმა დიბრის ქორ-ეპისკოპოსად ბარნაბა, შთამომავლობით სერბი. დიბრის საეპისკოპოსო ბოლგარებით არის დასახლებული. კრების აზრით სერბის პროპაგანდისტებს უნდა მცხოვრებლებში შუღლი გამოიწვიონ. კრება

მოითხოვა, რომ მთავრობამ ნება არ უნდა მისცეს მიტროპოლიტს სისრულეში მოიყვანოს თავის გადაწყვეტილებაო.

**პარიზი.** ფოსტა-ტელეგრაფის მუშების კონგრესმა დაადგინა, გაიფიცნენ პირველ მაისს. კონგრესმა სასურველად დაინახა დაარსდეს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა და მუშების ფედერაცია.

**პარიზი.** რკინის გზის მოსამსახურეთა კონგრესმა მოუსმინა დელეგატებს, რომლებმაც ინახულეს მინისტრები. დელეგატებმა სთხოვეს მინისტრს, რომ შემოღებული ყოფილიყო შრომის ფასის მინიმუმი. მინისტრი თანაგრძნობით შეხვედრია ამ ზომას. კონგრესისტებმა, რიცხვით რამდენიმე ათასმა კაცმა, წითელი ბირაღებით ხელში პარიზის მთავარ ქუჩებში გაიარეს — პოლიციასთან შეტაკება არ მოსვლიათ. კონგრესის მუშაობამ დამტკიცა, რომ რკინის გზის მუშებში ძალიან გავრცელებულია რევოლიუციონური იდეები.

**ჰაერში ფრენა**

**მარნის შალონი.** ქარიშხალმა დაანგრია იმ სახელოსნოს ნაწილი, რომელშიაც ჰაეროპლანებს ამზადებდნენ. დაიმტვრა რამდენიმე ჰაეროპლანი. დაშავდა სამი მუშა. სარაის სახურავიდან გადმოვარდა რამდენიმე მუშა. ერთი სასიკვდილოდ დაშავდა, სამი დასახიჩრდა.

**ნიცა.** ჰაერში მფრენავთა გაჯიბრებაში გაიმარჯვა ეფიმოვმა. ეფიმოვმა აიღო ოთხთავე პრიზი.

**ეშვეგე** (ჰესსენ-ნასსაუს პროვინცია). რეინენზაქსენის ახლო ჩაშოვეს ბიტტერფელდიდან გაფრენილ ჰაეროსტატის კანი. ჰფიქრობენ, რომ ქარიშხალის დროს ჰაეროსტატს მეხი დაეცა და დაიღუპა. ოთხივე მგზავრი მოკვდა.

**ნიცა.** ეფიმოვი თავის ჰაეროპლანით ზღვაში ჩავარდა, ეფიმოვი გადარჩა, ჰაეროპლანი დაზიანდა.

**ვარშავა.** გაფრინდა ავიატორი გიუიო. გიუიო ჩამოვარდა. ჰაეროპლანი სულ ერთიანად დაიმტვრა. გიუიო გადარჩა.

**რ უ ს ე თ ი**

**კამიშინი.** სასამართლომ განიხილა 14 კაცის საქმე. ბრალდებოდათ სოციალისტ-რევოლიუციონერობა და დარაჯის მოკვლა. სასამართლომ გადაუწყვიტა: ორს სიკვდილით დასჯა, ორს კატორგა (ერთს 8, მეორეს 12 წლით), ორს გადასახლება, ერთს სატუსაღო, სამს დაპატიმრება და ოთხი გაამართლა.

**ვარშავა.** სამხედრო სასამართლომ განიხილა 40 კაცის საქმე. ბრალდებოდათ უკანონოდ სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლება. სასამართლომ გადაუწყვიტა ერთს ექვსი თვით ციხე, 38 რვა-რვა თვით სატუსაღო და ერთი გაამართლა.

**ვიატკა.** სოფელ დოლგაჩში დაიწვა ერობის სკოლა. ცეცხლში დაიწვა ერთი მოწაფე და სკოლის მთელი ქონება.

**პეტერბურგი.** უმაღლესად დამტკიცდა სასულიერო აკადემიების ახალი წესდება. წესდება ძალაში შევა მომავალ სამოსწავლო წლიდან.

**ბრესტ-ლიტოვსკი.** სენატორ ნეიდგარდტის ბრძანებით გაჩხრიკეს საინტენდანტოს რამდენიმე მოხელის სახლი. დაბეჭდეს საინტენდატოს საწყობები და მაღაზიები.

**მისგოროდი.** სადგურ სახნოვშანაზედ დააპატიმრეს ტელეგრაფისტი სინერუკოვი, რომელმაც სადგურ კონსტანტინოგრადის მორიგის ოთახიდან ფული გაიტაცა. დაპატიმრების დროს სინერუკოვმა თავი მოიკლა.

**ვარშავა.** სენატორი ნეიდგარდტი რევიზიას უკეთებს ფოსტა-ტელეგრაფის ზოგიერთ დაწესებულებებს.

**იმანი.** ახალშენების დასათვალიერებლად ჩამოვიდნენ სინოდისგან გამოგზავნილნი: ძღვდელი კუროლოვი და დეკანოზი ვოსტორგოვი.

**ჩიტა.** რუსეთ-ჩინეთის ბანკის განყოფილების საწყობიდან უცნობებმა გაიტაცეს ფულად 20,000 მანეთი და ფასიანი ქაღალდები. ჯერ გამორკვეული არ არის, რა ღირებულების და რამდენის ფასიანი ქაღალდები წაიღეს. ბოროტ-გამზრახველებს საწყობის კარები გაუტეხიათ და ისე ჩასულან საწყობში.

**ვორონეჟი.** საღამოს 9 საათზედ ბობროვში, გიმნაზიის ახლო უცნობმა დასჭრა გიმნაზიის ინსპექტორი ელლინსკი.

## კიდევ ორიოდე სიტყვა

(ვლ. ბაქრაძის პასუხის გამო)

ვლ. ბაქრაძე მიპასუხებს, ვითომ მას საბავშო კოშკი არ უშენებია („ჩვენი გაზეთი“, № 4). გულდასმით წავიკითხე მისი წერილი, მაგრამ სამართლიანი პასუხი მასში ვერ ვნახე. იგი მისებური მიხვევ-მოხვევით სცილდება სისწორეს და თავისსავე გაბანდულ ქსელში ეხვევა.

დავიწყებ თავიდან. მას მოჰყავს ჩემი სიტყვები: „თუმცა ეხლახან ქართველ ინტელიგენციას ტერრიტორიის საკითხი ყველას უფრო აინტერესებს, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ფიზიურ (ტერრიტორიალურ) გაერთიანებასთან ერთად საჭიროა სულიერი, კულტურული გაერთიანებაც, და ამისათვის აუცილებელია, სხვათა შორის, ევროპის მწერალთა გაცნობა და მათ შორის ოსკარ უაილდისაც“. მოჰყავს ეს სიტყვები და თან დასძენს: „თუ ყურადღებით წაიკითხავთ ბ-ნ რობაქიძის წერილის ამ ადგილს, მგონია დამერწმუნებით იმაში, რომ ბ-ნი რობაქიძე ადასტურებს იმას, რასაც ვწერდიო“. რანაირად? იკითხავს მკითხველი. აი, ამნაირად! „ო. უაილდის პოეზია ბ-ნ რობაქიძეს მიაჩნია—ხსნის ვლ. ბაქრაძე,—როგორც ჰხედავთ, ფაქტორად ერის კულტურულ გაერთიანების საქმეში. ვინაიდან კულტურულ გაერთიანებას ბ-ნი რობაქიძე უყურებს როგორც წინამორბედს „ტერიტორიალურ გაერთიანებისას“, ცხადია, რომ ო. უაილდის პოეზია ყოფილა აგრეთვე მისი აზრით ფაქტორი ერის „ტერიტორიალურ გაერთიანების“ საქმეში“.

ლოგიური თვალთმაქცობა თუ გნებავთ, ეს არის! მე ვამბობ „ფიზიურ (ტერიტორიალურ) გაერთიანებასთან **ერთად** საჭიროა სულიერი, კულტურული გაერთიანებაც“; რა გზით შეიძლება აქედან ის დასკვნა გამოიყვანოს ადამიანმა, ვითომ ჩემი აზრით კულტურული გაერთიანება წინამორბედი იყოს ტერიტორიალურ გაერთიანებისა?! უბრალოდ რომ გამოვსთქვათ ეს ლოგიური უკუღმართობა, მაშინ იგი ამ სახეს მიიღებს: ფიზიურ გაერთიანებასთან **ერთად** სულიერი გაერთიანებაც,—აი ჩემი ნათქვამი; ხოლო ვლ. ბაქრაძის გადმოცემით იგი სრულიად იცვლება: ჯერ სულიერი გაერთიანება და მერე ფიზიური,—აი, ვითომ ჩემი აზრი. აქ თვალსაჩინო ლოგიური ნახტომია, და ჩაიდინა მან იგი ნახტომი იმისთვის, რომ მით გამოეყვანა, ვითომ ჩემი აზრით უაილდის პოეზია ფაქტორია ერის ტერიტორიალურ გაერთიანების საქმეში. ლოგიური თანდათანობაც ასეთი უნდა!!

ტყვილად უარობს ვლ. ბაქრაძე აგრეთვე, ვითომ მას არ მოეწეროს ჩემთვის სურვილი უაილდის პოეზიისა და ტერრიტორიის საკითხის კავშირის ახსნა-განმარტებისა. მაშ, რას ნიშნავს ეს ფრაზა, მის მიერ წინად თქმული: ...„ველოდით, როგორ დააკავშირებს ბ. რობაქიძე ისეთს, თუმცა ანტისაზოგადოებრივ, მარა საინტერესო მოვლენას, როგორიც არის ოსკარ უაილდის პოეზია ტერიტორიის საკითხთან“ („ახ. სხივი“, ხაზგასმა ჩემია; (გ. რ.). აქ პირდაპირაა ნათქვამი: ვლ. ბაქრაძე ელოდა ჩემგან, თუ როგორ დავაკავშირებ მე უაილდის პოეზიას ტერიტორიის საკითხთან. და როცა ამგვარი გადმოცემა ჩემის სიტყვებისა გამიკვირდა და განმარტების შემდგომ დავსწერე: ჩემი საგანი არ იყო განხილვა, თუ რა კავშირი არსებობს უაილდის პოეზიასა და ტერრიტორიის შორის თქო,—ზემო თქმული ფრაზა მქონდა მხედველობაში...

ავიღოთ ეხლა მეორე მუხლი. მე მოვიყვანე ვლ. ბაქრაძის სიტყვები: „თუმცა ისტორიული ფაქტები, მეცნიერული ისტორია ჩვენ გვასწავლის, რომ სულიერ გაერთიანებას წინ უძღვის ნივთიერი, რომ კულტურული გაერთიანება შეუძლებელია მანამდის, სანამდის ერი არ გაერთიანებულა ნივთიერათ, მაგრამ ზედმეტი იქნებოდა ბ-ნ რობაქიძისათვის მოგვეთხოვა ფაქტების ცოდნა და მეცნიერებაზე მსჯელობა—ეს აღემატება მის ძალღონეს“. ვინც ამ სიტყვებს წაიკითხავს, იმან შეიძლება წარმოიდგინოს, თითქო ჩემთვის შესაძლებელია ჯერ სულიერი გაერთიანება ხდებოდეს და მერე ნივთიერი. მაგრამ ასეთი წარმოდგენა ჩემი აზრისა სრულიად შემცდარია: თუ ერთი მხრით უარვყოფ მე მარქსისტულ შეხედულებას, რომ ნივთიერი წინ უძღვის სულიერსა, მეორის მხრით არც იმას ვღებულობ, თითქო სულიერი წინუძღოდეს ნივთიერსა. და როცა ვლ. ბაქრაძე აქარწყლებს ზემო მოყვანილ შეხედულებას, მე იგი არ მეხება და მიზანს სცილდება. სხვათა შორის, იმისათვისაც მივუთითე ჩემს კრიტიკულ წერილებზე, რომ იქ გაეცნო ჩემი შეხედულება აღძრულ საკითხის შესახებ, „დაერღვია“ იგი,- და პასუხსაც მაშინ გავსცემდი.

გარდა ამისა, როცა მე შენიშვნით მივუგე ვლ. ბაქრაძეს: მარქსისტული ჰიპოტეზი ჯერ „მეცნიერებად“ არ გამხდარა-თქო,—აქედან ის დასკვნა არ შეიძლებოდა გამოეყვანა ადამიანს, ვითომ მე „მარქსისტულ სოციოლოგიის დებულებით ვაოლევ“, რაც ... ნიშნე მხოლოდ ის, რაც ჩემი აზრით ფაქტად არსებობს—და მეტი არაფერი. ეხლა ვნახოთ, გააქარწყლა ვლ. ბაქრაძემ ეს შენიშვნა თუ არა. იგი სწერს: „ჩვენ დროში არ არის თითქმის არც ერთი ცოტათ თუ ბევრათ სერიოზული და ნამდვილ მეცნიერებით აღჭურვილი ისტორიკოსი, რომელსაც არ ესმოდეს **პრიმატი** მატერიალურ ფენომენებს სულიერ, ფსიხიურ ფენომენებზე“. შემდეგ კი ამასაც უმატებს: „ეს ისტორიკოსები, რასაკვირველია, მარქსისტები არ არიან, მაგრამ ისინი შეუგნებლათ ითვისებენ მარქსისტულ ანალიზს მეთოდს“. მაგალითისათვის კლიჩევსკი მოჰყავს: მის შრომებში მარქსიზმის გავლენააო. ხოლო ამასაც შენიშვნას უკეთებს: „ეს რომ შევნიშნოთ ამ პატივცემულ ისტორიკოსს ის დაიწყებს ფეხებით და ხელებით წევას“, ესე იგი, უბრალოდ რომ ვთქვათ, იუარებს ამას. საინტერესოა ვკითხოთ: ნამდვილი მეცნიერი, რომელსაც ჭეშმარიტება უფრო აინტერესებს, რათ უნდა უარობდეს სხვის გავლენას? მაგრამ საქმე ამაში არაა: საქმე იმაშია, რომ ჩვენ დროშიც ბევრია „სერიოზული და ნამდვილ მეცნიერებით აღჭურვილი ისტორიკოსი“, რომელსაც არ სწამს **პრიმატი** მატერიალურ ფენომენების სულიერ, ფსიხიურ ფენომენებზე“. ბევრი აქცევს ყურადღებას (და დიდს ყურადღებასაც) ეკონომიურ მომენტს სოციალურ პროცესში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქო იგი მომენტი ყოვლის გამსაზღვრელი და გადამწყვეტი იყოს, როგორც ეს მარქსისტებს გონიათ. მაგალითისათვის არც მე წავალ შორს. თანამედროვე ისტორიკოსი კარლ ლამპრეხტი „სერიოზულიცაა და ნამდვილ მეცნიერებით აღჭურვილიც“, მაგრამ მას არსად არ აქვს წამოყენებული **პრიმატი** მატერიალური ფენომენებისა, თუმცა მატერიალურ მომენტს დიდს ყურადღებას აქცევს. რაც შეეხება კულტურის ისტორიკოსებს (პეშელს, ტაილორს, დე-კულანჟს და სხ.), არც იმათ შრომებშია ნათლად ხაზგასმული, თითქო მატერიალური მხარე წინ უსწრობდეს იდეოლოგიურსა; **მატერიალური მხარის ერთ მძლავრ მომენტად აღსარება კიდევ არ ნიშნავს მის პრიმატობას.**

ვლ. ბაქრაძე მისაყვედურებს, რათ არ დავასახელე მე ის მარქსისტები, რომელთაც უკუაგდეს ეს ცალმხრივობა (რომ ნივთიერი წინ უძღვის სულიერს) მე მეგონა, ისედაც მიხვდებოდა, თუ ვინ მყავდა მე მხედველობაში. ეხლა მათაც დავასახელებ. ვლ. ბაქრაძეს კარგად მოეხსენება, რომ თანდათან მრავლდებიან მარქსისტებ... რიომონისტები. ესენი ვერ იტყვიან ფილოსოფიურ სფეროში, რომ ფიზიური წინ უსწრობს ფსიხიურს, და მისდაგვარ ვერც სოციოლოგიურ სფეროში იტყვიან, ვითომ ეკონომიური წინუსწრობდეს იდეოლოგიურს. მაგალითისათვის არც აქ წავალ შორს. რუსეთის გამოჩენილი მარქსისტი ბოგდანოვი თავის სოციოლოგიურ ესკიზმში პირდაპირ იმ აზრს ატარებს, რომ „საზოგადოებრივი ყოფა და საზოგადოებრივი ცნობიერება არსებითად ერთიდაიგივეა“ (მაგ., მისი წიგნი „Изъ психологіи общества“, გვ. 50-51). გარდა ამისა, არიან მარქსისტები „ნეო-კანტის მიმდევარნი“, ავილოთ, თუ გინდ მაქს ადლერი, რომელიც [illegible] მეტად საინტერესოდ და [illegible] აერთებს მარქსსა და კანტს (მაგ. მისი წერილი: „კაუზალობა და თელეოლოგია მეცნიერებისათვის ბრძოლაში“, Marx-Studien, ტ. 1); იგი ვერ იტყვის და არც ამბობს **უბრალოთ**, თითქო ჯერ მატერიალური პროცესი ხდებოდეს და შემდეგ სულიერი..

სიტყვა გამიგრძელდა. შტამმლერის, ზიმმელის, მაქს ვებერის, კისტიაკოვსკის და მრავალ სხვათა გამოკვლევების შემდგომ, სოციალურ მეტოდოლოგიაში შეუძლებელია დოგმატიური წამოყენება მარქსიზმის ცალმხრივ დებულებისა, ვითომ ნივთიერი წინ უსწრობდეს სულიერსა; შეიძლება, ეს ბევრისათვის ჯერ კიდევ საკამათო იყოს, მაგრამ იმისი თქმა კი, რომ მარქსისტული ჰიპოტეზი მეცნიერებად გადაიქცაო, ყოვლად შეუწყნარებელია..

განვიხილოთ ეხლა მესამე მუხლი. ვლ. ბაქრაძემ თავის პირველ წერილში უაილდის მიმდევრათ გამომიყვანა. ეს მე უარვყავი და ნათელვყავი. ეხლა ვიკითხოთ: დაამტკიცა თუ არა ვლ. ბაქრაძემ ჩემი „მოციქულობა“ უაილდის „მშვენიერების რელიგიისა“... სრულიად არა: ან კი როგორ დაამტკიცებს ასეთს არა-სიმართლეს!! იგი ამბობს: ლექციაში კრიტიკული ელემენტი თითქმის არ იყოვო,—და ამბობს ამას უკრიტიკოდ. იგი ამბობს: ლექტორი აღფრთოვანებით ლაპარაკობდაო! თითქო ეს ამტკიცებდეს უაილდის მიმდევრობას! ან შეიძლება, ვლ. ბაქრაძეს, ლანძღვა-გინებას მიჩვეულს, კრიტიკა არა ჰგონია, თუ ლანძღვა-გინებით არ მიმართე გასარჩევ მწერალს?! მას მოჰყავს ჩემი სიტყვები, საიდანაც ნათლად სჩანს საზღვარი ჩემსა და უაილდის შორის,— მაგრამ ამასაც უკრიტიკოდ დასძენს: „თქვენ თუმცა აჩჩნევთ განსხვავებას, მარა ისეთს განსხვავებას, როგორიც არის მაგალითად—მარჯვენა და მარცხენა ხელთათმანებში, ან უკედ რომ ... ორიგინალისა და სუსტი თარგმანის შორის“. ამ გვარი შედარებით იგი ფონს ვერ გავა. ყველამ კარგად იცის, ვარ თუ არა მე მიმდევარი უაილდის ესთეტიურ თეორიისა: ეს ნათლად სჩანს არჩილ ჯორჯაძის წერილიდანაც („დროება“, № 75), საცა ჩემი ლექციიდან მრავალი ციტატაა მოყვანილი, სრულიად გაპაქარწყლე-

# ბედის ვარსკვლავი

12 *)

უცხო ქვეყნიდან სამშობლოში დიდის სიხარულით წამოვიდა ბესიკი: რამდენიმე წელიწადი ფეხი ვერ მოიცვალა იქიდან სიღარიბის გამო და სამშობლოს ღრუბელი მოენატრა, საქართველოს მიწა სამთხვევლად მოესურვა, თავის ქვეყნის წყალი იაზმად მოუნდა საპკურებლად. სხვაობაში დატანჯულს მის გულს ქართული ალერსი მოჰსურვებოდა, უცხო ბგერით დასერილს მის ყურს ქართული ხმები დასჭირებოდა დამაცხრობელ მალამოდ. მოდიოდა გამარჯვებული და მოუხაროდა თავის ქვეყანაში, თავის მხარეს, თავის ქალაქში, თავის ოჯახში, სადაც გაეტარებინა პატარაობა, სადაც ყოველ საგანს მისი კვალი ჰქონდა ზედ აღბეჭდილი, სადაც ყოველ საგანს თავისი სურათიც აღებეჭდა მის გონებაში. მაგრამ ამ ზოგად მიმზიდველ ძალების გარეშე ბესიკს თავის გულის სიღრმეში კიდევ სხვა განძი ჰქონდა დაკრძალული, სხვა სურათი იყო მის გულის ფიცარზე ამოწერილი და იგი სურათი მძლავრად იზიდავდა თავის ქვეყნისაკენ. მაგრამ ეს სურათი სიხარულთან ერთად შიშსაცა ჰგვრიდა ჭაბუკს და ძრწოლას. უნდოდა ჭაბუკს მალე გათავებულიყო გზა გრძელი, ხოლო გზის შემოკლებისა ეშინოდა. ჰსურდა სწრაფად მისულიყო სახლში და გადაჰხვევოდა თავისებს, ხოლო ამ სანატრელ წუთის მოახლოვებას უკრთოდა. იქ, თავის სამშობლო ქალაქში, თილისმა რამ დაეტოვებინა ბესიკს, მომჯადოებელი, და ვერ იცოდა, დახვდებოდა იგი თავისსავე ალაგას თუ მხოლოდ ბინას ნახავდა მისსა ცარიელს, აფურტკნულს, უაზროს.

„ახ, ნეტავ იქ დამხვდეს შუქური და თავისუფალი! იქნება გავიცნო, იქნება გავაგებინო, ბუნდად მაინც მივახვედრო, რომ ის სულისდგმაა ჩემი, რომ უიმედო სიყვარული ლოდივით დამწოლია გულს და მიხუთავს სუნთქვას“,—ფიქრობდა ბესიკი და მით უფრო შეჰკვნესოდა გული, რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს.

იამა ჭაბუკს სახლის მშვიდობით დახვედრა, გაახარა ოჯახი თავის მშვიდობით და გამარჯვებით დაბრუნებით. იმის მამას ვერ დაეჯერებინა, როდესაც ნახა დავაჟკაცებული შვილი, სიზმარი ეგონა; ვერც კი ჰბედავდა მოსიყვარულე გული გადაეშალნა მისთვის. სწორედ ბედნიერება იგრძნო, როდესაც ვაჟი გადაეხვია და გადაჰკოცნა. ძმა სცდილობდა დინჯად დაეჭირა თადმოვი, რომ გრძნობათა ტბას არ გაეხეთქნა ნაპირები, მაგრამ ვერ ეხერხებოდა და უნებლიეთ ილიმებოდა. დედა გარს უვლიდა ვაჟკაცს და სიყვარულით სინჯავდა, ხელს აძლევდა იმის სუფთა და ლბილ ტანისამოსს, აბრეშუმის ქოჩორს უსწორებდა.

— ბიჭო, მართლა ეგეთი ძვირფასი ვაჟკაცი დამდგარხარ, თუ დედის თვალს ეჩვენები ესე?!—შეეკითხა გახარებული დედა და განზე გამდგარმა მუშტრის თვალით შეათვალიერა ბესიკი.

თითონ ბესიკი აღსავსე იყო სიხარულით, დატვირთული იყო ვარდისფერ გრძნობებით, ყელთამდის იყო მოყრილი ჰრელი ბედნიერებით და ამ ჟამად მზად იყო, შეეწირა თავისი სიცოცხლე ამ უბრალო ადამიანებისთვის, რომელნიც ასეთის ძლიერის სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი მისადმი. რამდენი რამე ჰქონდათ ერთმანეთისათვის სათქმელი, რამდენი კითხვები ებადებოდათ და რამდენი მათგანი რჩებოდა უპასუხოდ! აწყდებოდნენ კითხვები ერთმანეთს და გზას აღარ უთმობდნენ პასუხებს. ოჯახის ბედნიერება მის წევრთა ღიმილში იხატებოდა, განუწყვეტელ გაბმულ ღიმილში და წვრილმან რამ უმნიშვნელო მოძრაობაში. რომ მიწვა ბესიკი თავისავე ლოგინში, ტახტის ბოლოს, წინანდელ ადგილს, ეგონა სუნნელოვან ვარდის ფურცლებზე მოვისვენეო. ხომ დაღლილ-დაქანცული იყო, მაგრამ მაინც ვერ ეძინებოდა. მამლის ყივილამდი ილაპარაკეს. იკითხა ბესიკმა ნაცნობები, მათს ბედნიერებაზე გაიხარა, მათ უბედობაზე დაღონდა. დარიკოც მოიკითხა და ეამა, როცა შეუქეს, კარგი ქალი დადგაო, გამრჯელი. ძალიან უნდოდა ბესიკს გაეგო რამე თავის ბედის ვარსკვლავზე, მაგრამ ვინ რას ეტყოდა, როდესაც მათგანი ვერვინ იცნობდა თენგიზის ოჯახს. ვერც გაბედა პირდაპირი კითხვა, რადგან ეგონა გულუბრყვილოს, მიმიხვდებიანო. ამ ნათელ წუთებს მხოლოდ ეს იდუმალი დარდი ჩრდილავდა ვაჟისათვის.

„უხარიანთ ამ საწყლებს ჩემი გამარჯვება, დარწმუნებულნი არიან, რომ ჩემი უნარით მოვიქმედე ყოველივე, ჩემის საკუთარის გამჭრიახობით. ტყუილია! მე მამოძრავებდა, შთამბერავდა ძალას მოქმედებისას, მინათებდა წყვდიად გზას, ძლიერად მიწევდა ან გამევლო მაზე, ან ამოფხვრილიყავ ვარსკვლავი ჩემის ბედისა, მათთვის უჩინარი, შუქი ბრწყინვალე, ნათელი მხიარული შუქური ჩემი. ჩემს გულში დაკრძალული მისი სახე არის ცხოველსმყოფელი ძალა ჩემის არსებობისა. ვერ კი შემიძლიან საჯაროდ ვაღიარო იგი ჩემ მასულდგმულებლად... ნება არა მაქვს ვეახლო და მადლი მოვახსენო კეთილისმყოფელს, ვერც კი შემიძლიან ვიკითხო მისი ამბავი... მადლი მოვახსენო. როგორ გაუკვირდება, როგორ ეწყინება ჩემი კადნიერება! ხომ არ იცის, რა კეთილი მიყო, ხომ ვერც კი მიმიხვდება, თუმც შესაძლო იყო ხვაშიადის გამოჟღავნება მის წინ. ან კი რა საჭიროა იცოდეს ყველა ეს შუქურმა? თვით სიკეთეა ის განხორციელებული, სიხარულის მომფენი თვის გარშემო და სად მიაქცევს ყურადღებას ყველას, ვისაც კი მის ნახვაზე სევდა უკუჰყრია. განა შეიძლება დაითვალოს მზემ, ვის გაუნათა თავის დიდებულ მსვლელობაში წყვდიადი ან რომელი მწერი გაათბო თვის ცხოველსმყოფელ სხივით!“

დაეძინა ჭაბუკს. სახლის ანგელოსი კეთილი გულით დაუხვდა სახლის ძვირფას შვილს: ნაზად გადააფარა ფრთა, მიჰბერა ძილი ტკბილი და მსუბუქი, ხოლო ზმანება დამატკბობელი: შუქური ნახა სიზმრად სასწავლებლის გზაზე, მის შეხედვაზე შესდგა პატარა, გაუღიმა და გაუწოდა შროშანა ნაზი. გამოეღვიძა მოხარებულს. ველარ კი მოიგონა ჭაბუკს, ჩამოართვა ყვავილი თუ არა. წამოდგა, დედა სამოვარს უჯდა გვერდით. მამა და ძმა უკვე გასულიყვნენ სამუშაოდ. აღტაცებული ჭაბუკი შემოეჭდო დედას და დაუკოცნა საყვარელი სახე, ტკბილი გულ-მკედრი.

13.

ყველა ოჯახში თითო კოჭობი დუღს, ყველა კაცს თითო დარდი აქვს. რაც უნდა მარჯვედ და ბედნიერად მოეწყოს ადამიანის ცხოვრება, იგი დარდი მაინც არა სდნება და არა ქარწყლდება. დროთი დრო ვარდის ფურცლით დაიფარვის იგი და არა სჩანს, მაგრამ დაჰბერავს სიო უბედობისა, გაჰფანტავს ფიფქივით მიფენილ ფურცელს და აღმოჩნდება იგი სევდა გაშავებული.

ბესიკის დარდიც ყვავილთა ფურცლით იყო ეხლა დაფარული და ფარული და ვერავინ ხედავდა მას, ვერც კი ვინმე წარმოიდგენდა რამე სევდის არსებობას ბედნიერ ჭაბუკის გულში, მაგრამ თითონ კი მწვავედ გრძნობდა მას თვის ბედნიერების ყვავილთა შუა. მოხარული იყო ახალგაზრდა: იმან თავის მიზანს სავსებით მიაღწია, გარნა გრძნობდა, რომ შესაძლო იყო მთელ მის ნალვაწს საძირკველი გამოსცლოდა და ჩანგრეულიყო, რომ შეიძლებოდა მის სიხარულის ნერგს მაცოცხლებელი ნაკადი ჩაჰშრობოდა და ჩაყვითლებულიყო, ჩამჭკნარიყო, გამხმარიყო.

ნახევარსაც ღირსი არა ვარ!— იტყოდა თავის გულში მიზან მიხწეული ახალგაზრდა:—მაგრამ ცხადად ვხედავ, რომ ჩემი შრომა ვერ გამოიღებს ნაყოფს კეთილს, თუ ჩამომეცლება ის ძალა, რომელიც მამოქმედებდა აქამომდე. ვსდგევარ ცხოვრების ზღვის პირას, მომზადებული ვარ შევებრძოლო იმის ძლიერ ტალღებს, რომ განვახორციელო იქ საუკეთესო მისწრაფებები, რომელიც დამისახნია სამოქმედოდ და რომლებიც მხოლოდ შეეფერება კაცურ კაცს, მაგრამ შიში მიპყრობს და ძრწოლა: თუ თან არ მეყოლება ის უხილავი მფარველი, რომელიც აქამომდე შთამბერავდა მე სულს ცხოველსმყოფელს, მოვუძლურდები, ღონე მიმეხდება და მხოლოდ მიწა-ლა დავრჩები ტლანქი, კაცის სახით მავალი და დამნთქამს დამძიმებულს ცხოვრების მორევი“.

ადამიანი, თუნდ საზოგადო მისწრაფებით გამსჭვალული პიროვნება განკერძოებული და რაიმე პირადი ლტოლვილება აქვს დართული მის მოქმედებას. ეს პირადი მისწრაფება შესძლენის მის ღვაწლს თავისებურობას, არჩევს მის ნამოქმედარს სხვის ღვაწლისაგან. განა ყველა პირადი მისწრაფება საძრახისია და საგმობი; არის კერძო მისწრაფებაც ფაქიზი, საქები, რომელიც არ ეწინააღმდეგება საზოგადო კეთილს, რომელიც შეხამებულ-შეჭყობილია საზოგადო კეთილთან! ამგვარი პირადი მისწრაფება შეუერდება საზოგადო კეთილს და განაცხოველებს მას, სულს ჩაუდგამს, ამოქმედებს ძლიერად.

„და განა ჩემი პირადი მისწრაფება, რომელიც მამოქმედებდა აქამომდის, რომელიც აზრს აძლევდა ყოველსავე ჩემს სასიკეთო შრომას, ფაქიზი არ არის და მოსაწონი! განა ეს ჩემი პირადი მისწრაფება ეწინააღმდეგება საზოგადო რასმე კეთილს?! სრულებითაც არა! ეს ჩემი მისწრაფება სიცოცხლეა ჩემის გულისა, სინათლეა ჩემთვის უჩრდილო, მე მისწრაფი, ჩემმა ღვაწლმა

*) იხ. „დროება“ N 74.

...ბელი უაილდის თეორიისა.

მეოთხე მუხლის შესახებ ვლ. ბაქრაძე ისეთს რამეს ამბობს, რომ აღარც კი იცი, რა დაარქვა იმის „სითამამეს“. როცა მან მიკიჟინა, „დე-პროფუნდის“-ის შესახებ კრინტიც არ დაგიძრავს, თუმცა დაგვპირდიო, მე მოვიყვანე შინაარსი, იმ თხზულებიდან ამოღებული და ლექციის ბოლოში წარმოთქმული, და დავეკითხე: თუ „დე-პროფუნდის“-ის შესახებ კრინტიც არ დამიძრავს, მაშ საიდან მოვიყვანე ყველა ეს-მეთქი... ამაზე ვლ. ბაქრაძე ასეთს პასუხს იძლევა: „საიდან ამოიღო მან სულ ყველაფერი, ეს ჩვენ არ ვიცით, (უაილდის ბიოგრაფიები ეხლა ბევრია)... მხოლოდ შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, არა „დე-პროფუნდის“-დან—ამ შემოქმედების ფანტაზიის აპოთეოზიდან“. მერე, სად არის ეს „დანამდვილებით“ თქმა? იკითხავს მკითხველი, მაგრამ პასუხს ტყუილა მოუცდის; სამაგიეროთ ვლ. ბაქრაძე მას უაილდის ბიოგრაფიებისაკენ მიუთითებს (შეიძლება იქიდანო, „დე-პროფუნდის“-ითგან კი არაო და, ნამდვილებით), და სწორეთ აქ იჩენს იგი ისეთს რამეს, რომელსაც არ იცი, რა სახელი უწოდო... ამის შემდგომ განა შესაძლებელია მასთან რაიმე კამათი?!

გრიგოლ რობაქიძე.

P. S. ჩემი ლექცია დაიბეჭდება სისრულით „ფასკუნჯის“ მეორე ნომერში; კიდევ კარგი, რომ იგი ბევრმა ჩემმა ნაცნობმა წაიკითხა, თორემ, ვინ იცის, ვლ. ბაქრაძეს, შეიძლება, ისიც შემოეწამა ჩემთვის—გადაასხვაფერაო...

გ. რ.

## განმარტება

(გრ. რობაქიძის „მცირე შენიშვნის გამო).

ბ-ნი რობაქიძე შენიშვნის დასაწყისში სწერს: „ბ-ნ დადვაძის წერილი „ოსკარ უაილდი“ („დროება“ № 72) შეიძლება ორ-ნაირად მივიღოთ: ერთი მხრით, როგორც გადმოცემა ჩემის ლექციისა, და მეორის მხრით, როგორც საკუთარი შეხედულება ავტორისა“. ამის შესახებ ბ-ნ რობაქიძეს შემდეგს მოვახსენებ: წერილის წარდგენისას რედაქციას გამცნე, რომ ეს ჩემი შეხედულება და აზრია ოსკარ უაილდსა და მის პოეზიის შესახებ, და რომ წერილს ვათავსებ გაზეთში ბ-ნ რობაქიძის ლექციის გამო. ზემო-თქმულისა გამო მეტად მიმაჩნია ბ-ნ რობაქიძის სიტყვები: „ამგვარი გადმოცემა ჩემი შეხედულებისა სწორი არ არის“. ვიმეორებ, ეს ჩემი შეხედულებაა და შესაძლებელია იგი ბ-ნ რობაქიძისთვის სწორი არ იყოს. შემდეგ მე ვწერ: „ეს ოცნების მხარე, ეს სიმბოლიური სინამდვილე აღძრავს სურვილს მარადის ნეტარებისას, მარადის მეგობრობისას, მარადის სიყვარულისას... ცხოვრება კი ეს ჭეშმარიტი სინამდვილე, ამსხვრევს ამ სურვილს... აქ იბადება სულის დეკადანსი. ლექტორის აზრით, დეკადანსი გახრწნილებაა, ეს დიდი შეცდომაა დეკადანსი არისტოკრატიული სულის გოდებაა“.

ბ-ნი რობაქიძე სწერს: „იგი გრძნობა უკვდავებისა სხეულს ვერ ისხამს,—და ნადვლობს ადამიანი“. ადამიანის ეს ნაღვლიანობა და გოდება-ცრემლია დეკადანსი. ახალია ჩემთვის, რომ ნაღვლიანობა, თუნდ უძლურების ნიადაგზე აღმოცენებულიც, გახრწნა იყოს. ასევე ახალია ჩემთვის, ვითომც სულის ამგვარ გახრწნას შეეძლოს სულისავე გაფაქიზება, როგორც მარცვლის გახრწნას შეუძლია მშვენიერი ყვავილის აღმოცენება. ჩემის აზრით, სული კი არა, თანამედროვე მოწინავე ადამიანის მთლიანობა ირღვევაო; სული განმტკიცდება და სურს უთუოდ სინამდვილეს და მოუნდომება ოცნების მხარის, სიმბოლიურ სინამდვილისა და მშვენიერების შექმნა. მაგრამ სიმბოლიური სინამდვილე უძლური გამხდარა ჭეშმარიტ სინამდვილესთან ბრძოლაში და სული დაულევია. ეს აზრი მქონდა გატარებული ჩემს წერილში.

ბ-ნ რობაქიძეს უკვირს, რომ დორიანის მშვენიერების მკვლელად გახრწნილი კოლექტივი დამისახელებია. იგი სწერს: „დორიანის ტრაგედია, ჩემის აზრით, ასეთია. მან უარჰყო ჭეშმარიტი სინამდვილე და სცოცხლობდა ხელოვნური სინამდვილით; ხელოვნურ სინამდვილემ ვერ გადაჰქმნა იგი ნამდვილ მშვენიერებად: თუმცა მისი სხეული ლამაზი რჩებოდა, სამაგიეროდ მისი სული ჭთანდათან მახინჯდებოდა“. რა არის ამ დამახინჯების მიზეზი? არა მგონია, ადამიანის სულის თვით ბუნება იყოს. დიაღაც, რომ დორიანს არ შეეძლო გარდაქცეულიყო ნამდვილ მშვენიერებად. ეს მშვენიერება სიმბოლიურ სინამდვილეში კი არაა შესაძლებელი, არამედ ჭეშმარიტ სინამდვილეში. ეს უკანასკნელი კი იმდენად შემხუთველია და წამრყვნელი, რომ არა თუ არ შეუძლია დორიანის ნამდვილ მშვენიერებად გარდაქცევა, არამედ მის სულსაც ამახინჯებს. უაილდის მშვენიერების რელიგიამ მაშინ დალია სული, როდესაც უაილდი პირის-პირ შეხვდა ჭეშმარიტ სინამდვილეს, მის სიდუხჭირესა და საშინელებას. ეს კატასტროფა რომ არ მომხდარიყოს უაილდის ცხოვრებაში, იქნებ უაილდს ასე კატეგორიულად არც კი უარეყოს განყენებითი ესთეტიზმი და დაკმაყოფილებულიყოს, როგორც მხატვარი, სხეულისა და სულის შეხვედრის, ბრძოლისა და ამ ბრძოლის შედეგის აღნიშვნით.

ბ-ნი რობაქიძე მისაყვედურებს, რატომ არას ვამბობ იმ ახალ შინაარსის შესახებ, რომლითაც განახლებული უაილდი მოევლინება ქვეყანას. მე ვწერ: „აქ, ამ სიღრმეში სცნო პირველად უაილდმა ის აზრი, რომელიც თვით განგების-მიერ არის ჩანერგილი სამყაროის გულის სიღრმეში. აქ, მხოლოდ ამ სიღრმეში სცნო უაილდმა **ტრაგიზმისა და ტანჯვის საჭიროება** (კურსივი ჩემია). რა სახით მოევლინებოდა ეს ახალი შინაარსი, ამისი ცოდნა შეუძლებელია, რადგან თვით ბ-ნ რობაქიძის სიტყვით უაილდს „არ დასცალდა ამ ჰორიზონტის მხატვრული გადმოშლა“.

პეტრე დადვაძე.

ამამაღლოს, გამასპეტაკოს, ღირსი გამხადოს მისი, მის მოწონებისა; მსურს მომიწონოს ჩემმან ხელმქმნელმან, დამმართოს ლაღმან და ლამაზმა ნები. მსურს ისე, როგორც მსურს სულდგმულს სიცოცხლე. უმისოდ გული მომიკვდება, ამემღვრევა ფიქრთა დენა, აზრს დაჰკარგავს ჩემი არსებობა და რაღად ვევარგები ან კერძო ან საზოგადო საქმისათვის, მაშინ ისე გავალ ცხოვრების დარბაზიდან, ისე მივეფარები ცხოვრების მეჯლიშს, როგორც რომ აზრდილი უმნიშვნელო. და რაღა საჭირო იყო, რომ განგებამ გამომარკვია არარაობისაგნნ, თუ კი არსება ჩემი იქმნება უმნიშვნელო, უსიკეთო, მქრალი, შეუმჩნეველი?!—„ფიქრობდა ჭაბუკი და სევდის ზეწარი ებურვებოდა იმის სიცოცხლით სავსე სახეს.

— შვილო ბესიკო! დაფიქრება რამ დაგჩემებია. რა დარდი გაქვს გენაცვალე?—შეეკითხებოდა დედა მზრუნველობით და გადუსვავდა ხელს ხუჭუჭ თმაზე.

მაგრამ ბესიკი მოქმედი ადამიანი იყო, მუშა ოჯახის შვილს საქმიანობა ჰქონდა თან დაყოლილი და არ შეეძლო უძლურად მისცემოდა გამოურკვეველ დარდს. ხელჩართულ ომში შუაგული ადგილი ერჩივნა—უყვარდა კარზე მომდგარ განსაცდელისთვის პირდაპირ თვალებში ყურება. ეს იყო მიზეზი, რომ ჭაბუკმა განიზრახა ემოქმედნა და გამოერკვია საქმის ვითარება.

„გავიგებ, ვიწრიალებ, ვნახავ, გავეცნობი, მოვიაზრებ, თუკი შევძლებ მოაზრებას, და ან შევებრძოლები მედგრად, ან დავიკარგები აქედან იმედ მიხდილი“—ფიქრობდა ვაჟი.

მძიმედ კი ეჩვენებოდა ეს საქმე, უიმედოდ, უშველებლად. რა იყო ამასთან შედარებით იგი მიზანი, რომელიც პატარაობით დაისახა ბესიკმა და ესე ბრწყინვალედ შეასრულა?! არაფერი, სრულებით არაფერი! ჭაბუკი გამოეწყო საუკეთესო ტანისამოსში და მიტრიალ-მოტრიალდა სარკის წინ. დედამ თვალი ველარ მოსწყვიტა თავის ვაჟს, მივიდა. რაღაც მტვერი გადაუწმინდა, გარს შემოევლო, ახედ-დახედა და მიჰმართა ალტაცებით:

— ბიჭო, რა მშვენიერი ვაჟკაცი დამდგარხარ! სწორედ მზეთუნახავის ღირსი ხარ, დედის სიხარულო!

იამა ჭაბუკს დედის ალერსი და სახე გაუნათდა. კარის ზღურბლს რომ გადააბიჯა, ორი ცხვირი დააცემინეს და გამხნევდა, თან გაეღიმა, რომ სხიფათო საქმემ ცრუმორწმუნეობა გაალვიძა მასში. ისევ ის გზა გაიარა, რომელზედაც ბალღობისას სასწავლებელში დადიოდა. ქუჩებს არაფერი მოჰმატებოდა. სახლები თითქო დაპატარავებულიყო, გაჭუჭყიანებულიყვნენ. დიდ ქალაქის შენობებთან შედარებით მეჩვენებაო ესე, გაიფიქრა. იმ ადგილას რომ მივიდა, საცა შუქური შეხვდებოდა ხოლმე, ისე იგრძნო, თითქო ეხლაც უნდა შეხვედროდა ბავშვი. მივიდა სასწავლებელში, ინახულა ძველი მასწავლებლები: ზრდილობა მოითხოვდა ამას. იქიდან დაბრუნებისას შუქურის სახლისკენ შეუხვია. ძალიან კარგად იცნობდა ამ ქუჩას პატარაობითვე. სახლი მიძველებული ეჩვენა, გალავანი ადგილ-ადგილ ჩამონგრეული. არავინ არა ჩანდა არც ეზოში, არც წინარდზე, არც ფანჯარებში. გული დაეხშო. ფერი დააწყნარა, ეგება ვინმე გამოიხედოსო. დაღონებული გასცდა ქუჩას.

უიმედო საქმეს ებრძოდა ბესიკი, მაგრამ შემმაერთებელი იყო მამათ მთავარ იაკობისავით და გაუტეხელი; იგი გაჭირვებაში თვით ღმერთს შეეჭიდებოდა და იბრძოლებდა შეუდრეკლად, სანამ არ გაიმარჯვებდა.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **პოეტის ი. ფ. ტხორჟევსკის გარდაცვალება.** შაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე, ტფილისში გარდაიცვალა ჩვენში კარგად ცნობილი პოეტი ივანე ტხორჟევსკი. განსვენებული, ორიგინალურ ლექსებს გარდა, ძალიან ბევრსა სთარგმნიდა. მრავალი ლექსი და პოემა აქვს ნათარგმნი, სხვათა შორის, ქართულიდანაც. საუკეთესო ლექსები ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და სხვათა ტხორჟევსკების მიერ (ქმრისა და ცოლისა) არის გადათარგმნილი. ფსევდონიმად აწერდნენ ივან და მარიას.

✦ **თავ. გ. ერისთავის მოკვლა.** გორიდან გვატყობინებენ: შაბათს, სამ აპრილს, გორიდან 6—7 ვერსის მანძილზე, სოფელ ფლავში, თავის სახლში მოჰკლეს ადგილობრივი მემამულე თავ. გიგო ერისთავი. მკვლელობის დღეს განსვენებული სახლთან ვენახში იყო, სადაც მუშები მუშაობდნენ. ამ დროს თავადთან მივიდა ორი კაცი, აფიცრის ტანისამოსში გამოწყობილი, ერისთავმა ვერ იცნო. მაშინ მოსულებმა უთხრეს, დრაგუნთა პოლკში ერთად ვმსახურებდით და იქიდან გიცნობთო. თავ. ერისთავმა სახლში შეიწვია, მაგრამ როდესაც ოთახში შევიდნენ, უცნობებმა მოულოდნელად სროლა დაიწყეს. ასტყდა ყვირილი, ხმაურობა და როდესაც მახლობელნი სახლში შევიდნენ, თავადი გიგო ერისთავი უკვე მკვდარი დახვდათ. მკვლელები გაიქცნენ.

✦ **ნამესტნიკის წასვლა.** „ბაკუ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: კავკასიის ნამესტნიკს დიდის ხნით დაითხოვენ დასასვენებლად. ამბობენ, ნამესტნიკი აღარ დაბრუნდება კავკასიაშიო.

✦ **არა-საიმედო ჯგუფები.** სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან: პურიშკევიჩმა საერო განათლების მინისტრს წარუდგინა სია სტუდენტთა იმ ჯგუფებისა, რომელნიც, პურიშკევიჩის აზრით, არა საიმედონი არიან. სხვათა შორის, პურიშკევიჩს თავის სიაში შეტანილი აქვს ქართველ სტუდენტთა ჯგუფები.

✦ **უხვი შემოწირულება.** როგორც ვიცით, ტფილისში ახლად დაარსებულმა ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლმა საზოგადოებამ ამერიკელ მილიარდელს როკფელლერს ორასი ათასი მანეთი სთხოვა. როგორც ეხლა რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, როკფელლერს სურვილი გამოუთქვამს ამ საზოგადოებისთვის ორასი ათას მანეთის შეწირვისა და ეს ამბავი დეპეშით უცნობებია საზოგადოების გამგეობისთვის.

✦ **მ. ი. ნიკოლაძის გარდაცვალება.** ბათუმში გარდაცვლილა ადგილობრივი საზოგადო მოღვაწე, ქალაქის საბჭოს ხმოსნად ნამყოფი და წიგნების მოვაჭრე მ. ი. ნიკოლაძე.

✦ **ერკმანისა და შატრიანის სურათები.** „ალიონის“ წიგნის გამომცემელი ამხანაგობა გვთხოვს გამოვაცხადოთ: „გლეხიკაცის ისტორიისთვის“ საჭიროა კლიშესათვის ფრანგ მწერლების ერკმანისა და შატრიანის სურათები. გამომცემლობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც მოეპოვება ან იცის ის ნომერი ჟურნალისა, სადაც მოთავსებულია აღნიშნული სურათები, გვაცნობოს არა უგვიანეს 15 აპრილისა. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ალიონი“, კიროჩნი ქ., № 9. ვ. გადილის.

✦ **ბანკის წევრთა კრება.** კვირას, 4 აპრილს, „ტფ. სობრანიეს“ სადგომში ნაფიც ვექილის არუთინოვის თავმჯდომარეობით მოხდა წლიური კრება ტფ. მეორე საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა. კრებამ პირველად განიხილა წასული წლის ანგარიში. საბჭოს მოხსენებაში ანგარიშის გამო ნათქვამია, რომ ახალგაზდა ბანკმა ორი წლის არსებობის შემდეგ შესამჩნევად წარსდგა წინ ფეხი: წარმოებამ 1909 წელს ბევრად იმატა გაცილებით აიწია წინა წელთან შედარებით; წევრთა რიცხვი 1230-მდე ავიდა, ხოლო საწარმოვო თანხა—143,160 მან. წმინდა მოგება ბანკს დარჩა 4,887 მან. 59 კაპ. საბჭომ ურჩია კრებას, წმინდა მოგება წევრთა შორის არ განაწილებულიყო და გადაედოთ საკუთარ შენობის ასაგებელ ფონდად. მთელი წარმოება საზოგადოებისა გამოიხატა 32,243,788 მანეთში. კრებამ ანგარიში დაამტკიცა. დაამტკიცა აგრეთვე მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულია 18,400 მანეთამდე. დასასრულ მოხდა არჩევნები. დირექტორად კრებამ აირჩია ისევ ბ-ნი ზ. დ. მამულოვი, საბჭოს წევრებად: ა. ე. ბალდასაროვი, ა. ი. სელიანოვი და ა. ი. გრუებნი; სარევიზიო კომისიის წევრებად—ა. ს. ქალანთაროვი, ტ. ფილოიანცი და ს. დ. მალცევი.

✦ **პირუტყვთა მფარველი საზოგადოება.** კვირას, 4 აპრილს, ქ-ნ კაზნაკოვას თავმჯდომარეობით მოხდა წლიური კრება ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა. შარშან საზოგადოებას შემოსვლია 4949 მან.: ხარჯი ყოფილა 4543 მან. კრებამ დაამტკიცა ანგარიში და სავარაუდო აღრიცხვა მიმდინარე წლისა. გამგეობის ვარაუდით წელს შემოსავალი მოსალოდნელია 5840 მან., ხოლო ხარჯი 5494 მან. კრებამ გამგეობის წევრად აირჩია ბ-ნი როლკე. აირჩიეს აგრეთვე სარევიზიო კომისია და უბნის მზრუნველები ერთის წლის ვადით.

✦ **იარაღის კონფისკაცია.** „კასპი“ კრასნოიარსკიდან დეპეშით ატყობინებენ: სადგურ ინოკენტიევაზე დააპატიმრეს რამდენიმე კაცი, რომელთაც კავკასიაში საიდუმლოდ აუარებელი იარაღი მიჰქონდათო. დააპატიმრეს ოთხი ჩერქეზი.

✦ **სამეურნეო ბანკის წევრთა კრება.** ტფ. სამეურნეო ბანკის კრებამ ეგ. ხრამელაშვილის თავმჯდომარეობით განაგრძო სხდომა კვირას, 4 აპრილს. როგორც წინა სხდომას, ისე ამ დღეს 30-მდე წევრი ძლივს დაესწრო. კრება შეეხო დივიდენდების განაწილების საქმეს. ანგარიშით საზოგადოებას დარჩენია 6400 მან. 87 კაპ. წმინდა მოგება. აქედან 2414 მ. 70 კ. მიემატა სათადარიგო თანხას, ხაზინას დამატებითი გადასახადი და სხვა, დარჩა გასანაწილებელი 3986 მ. 17 კ. გამგეობის ანგარიშით, ყოველ ათ თუმანზე 4 მ. 68 კაპ. დივიდენდი მოდის. საზოგადო კრებამ იქონია მსჯელობა თუ როგორ უნდა განაწილებულიყო ეს თანხა. 1 მ. 68 კაპ. თვითეულ ას მანეთზე გადაეცა ბანკში მოსამსახურეებს ერთი დროულად დასახმარებლად მოსამსახურებსავე მიეცათ ორი თვის ჯამაგირის ოდენა ფული. დანარჩენ თანხიდან დარჩა 281 მ. ზოგი ორატორი თხოულობდა, ეს თანხა სათადარიგო თანხას მიემატოსო. გამგეობამ მოახსენა კრებას, რომ რამდენმამე საზოგადოებამ გვთხოვა ხელის გაწვდაო. უთხოვნია დახმარება ფილარმონიულ საზოგადოებას, „განათლების“ საზოგადოებას, ქალთა ჰრა-კერვის სკოლასა და ჟურნალ „მოსავალს“. სამი დაწესებულება ამოირჩიეს—„მოსავალი“, „განათლების“ საზოგადოება და „ქალთა ჰრა-კერვის სკოლა“. კამათი იყო იმაზე, თუ რომელი დაწესებულებისათვის მიეცათ უპირატესობა, რომელს მეტი, რომელს ნაკლები. იმ საზოგადოების კრებაზე, რომლის მიზანიც სოფლის მეურნეობის დახმარებაა, უპირატეობას აძლევდნენ ქალაქის სკოლებს და არა „მოსავალს“, რომელიც პირდაპირ სოფლის მეურნეობას ემსახურება. ასეც გაანაწილეს ფული: 100 მანეთი მისცეს „განათლების“ საზოგადოებას, ასი მ. ჰრა-კერვის სკოლას, 81 მან. ჟურნალს „მოსავალს“. შემდეგ კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება საპენსიო კასის დაარსების შესახებ. საზოგადოებისთვის წინადადება მიუცია ცენტრალურ საურთიერთო ბანკს, შესულიყო წევრებად საპენსიო კასაში. საბჭოს და გამგეობას ხელსაყრელად არ უცვნია ცენტრალურ ბანკის პირობები და თითონ შეუმუშავებია პროექტი საპენსიო კასის დაარსების შესახებ. პროექტი მიიღო კრებამ. შემდეგ მოხდა არჩევნები. დირექტორად აირჩიეს ისევ გრ. თ. ყიფშიძე, სარევიზიო კომისიაში ბ-ნი მუხრანსკი.

✦ **სამძიმარი.** ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ივ. ფ. ტხორჟევსკის გადაცვალების ამბავი და დაადგინა, გამოუცხადოს განსვენებულის ოჯახობას სამძიმარი და ცხედარი გვირგვინით შეამკოს.

✦ **ყიზლიარის ხაზინის გაცარცვა.** როგორც მკითხველებმა იციან, ამ რამდენიმე დღის წინად თავს დაეცნენ ყიზლიარის ხაზინას და ფული გაიტაცეს. „კასპის“ სიტყვით, სულ გაუტაცნიათ 4,014 მანეთი.

✦ **უარი სააღდგომო საჩუქრებზე.** საყასპოსა, სადეზინფექციო კამერისა და ზოგიერთ სხვა დაწესებულების მოსამსახურე-მოხელეებმა შუამდგომლობა აღძრეს ტფ. ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ სააღდგომოთ საჩუქარი მიეცეთ. გამგეობამ სახეში მიიღო ის გარემოება, რომ ბოლო წლებში ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეებს შესამჩნევად მოემატათ ჯამაგირი და დაადგინა, საჩუქრისათვის წელს ფული არ გადასდოს.

✦ **მინისტრის ჩამოსვლა.** როგორც ვწერდით, ტფილისში ფინანსთა მინისტრი აპირებს ჩამოსვლას. „ბაკუ“-ს სიტყვით, მინისტრი ამ დღეებში ჩამოვა და მთელ მწუხრის კვირას აქ დარჩება.

✦ **შემწეობა.** როგორც გადმოგვცეს, სოფ. შემოქმედის (გურია) საქსოვ სახელოსნოსთვის კავკ. შინა-მრეწველობის კომიტეტს 800 მანეთი გადმოუდვია.

✦ **ქველმოქმედთა საყურადღებოდ.** ნაძალადევში, ბრიგადარნი ქუჩაზე, № 12, სცხოვრობს მეტად ღარიბი ოჯახი მარიამ როველიაშვილისა, რომელსაც არავითარი სახსარი არ გააჩნია. ოჯახში სამი მცირე-წლოვანი ბავშვია. საჭიროა ქველმოქმედებმა ყურადღება მიაქციონ და საწყალ ოჯახს მიაწოდონ რამე მომავალ სააღდგომო დღესასწაულებისთვის მაინც.

✦ ამ დღეებში მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს დაპატიმრებული სემინარიელები, გარდა ორისა.

✦ 4 აპრილს რკინის გზის ლიანდაგს გადაღმა მთვრალს ავგუსტინ პრეიკშას ჩხუბი მოსვლია თავის ცოლთან, პრეიკშას დანით დაუჭრია ცოლი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. უგოლნი ქუჩაზე სახლდრებიდან ნახშირის ჩამოხსნის დროს მენახშირე ივანე ონაშვილს მიგარდა ტფ. მცხოვრები, 16 წლის ქალი ნატალია სპირიდონოვი და სრულიად უმიზეზოდ დანით დაუჭრია ფეხში. სპირიდონოვის ქალი მთვრალი აღმოჩნდა. დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს. სპირიდონოვის ქალი დააპატიმრეს. პოლიციამ დააპატიმრა ალექსანდრე ზინტარევა, რომელმაც 30 აპრილს მამის ცოცხებზე ვაჭრით მოჰპარა 220 მან. და მიიმალა. დააპატიმრეს ვიორგი ბადალოვი, ოჰანეზ ნავარსადოვი და მნაცაკან ალექსანდროვი, რომელთაც კარაკლისის ქუჩაზე ტფილისის ვაჭრის არსენ მამუკოვის სარდაფიდან სხვა და სხვა ნივთები მოუპარავთ. პოლიციის 1 და 3 უბანში დააპატიმრეს 10 უპასპორტო კაცი.

✦ ჭავჭავაძის ქუჩაზე მეონკანეს არა სწამს ხაზინის მიერ გამოცემული სახევარი და მეოთხედ კაპიკიანები, ყველას ეუბნება, რომ ეს ფული ჯერ ხმარებაში არ არისო, საკვირველია, თუ ასეა, მაშინ რად გამოუშვა ხაზინამ ეს ფული?

# ექსკურსია მცხეთაში

სულ ვიყავით ოც და ათი კაცი. მცხეთას მივედით მატარებლით. მცხეთიდან ფეხით გაუდექით არმაზის გზას.

მაღალი მთა, ხრიოკიანი ბილიკი, აკოკრებული ტყე, მზიანი დღე, ბუნების სიმშვენიერეს დანატრებული ხალხი, ლაპარაკი, სიცილი, კისკისი, ერთის საათის სავალი და მივედით არმაზის ნაქალაქევის ნანგრევამდის.

გარშემო ხროვაა ნანგრევებისა, შუაში ჩამონგრეული კედლები, გვერდზედ მთლიანი შენობა, ჩამოსანგრევად გამზადებულის თაღით, კარებ ზევით ხუცური წარწერა მეთორმეტე საუკუნისა. იმათ წინ პატარა შენობა იქ მცხოვრებ ბერ მირიანისა. თვითონ მირიანიც: შუახნის კაცი, მხიარული სახისა, გულით კი უფრო მხიარული; ზოგიერთი განმარტება ბ-ნ ჯანაშვილისა, სარაჯიშვილისა; ჯგუფად სურათის გადაღება, მცირე შესვენება და გაუდექით არმაზის გზას.

ტყე-ტყე მიმავალი ბილიკი, წყაროს წყლით გულის გაგრილება, იის კრეფა, მაღალი მთა, ახალგაზრდული ძალ-ღონე და ნახევარ საათის შემდეგ არმაზის ნანგრევებიც.

არაფერი სანიმუშო. მერტო კედლები, ისტორიული მოგონება-განმარტება, კიდევ შესვენება და დავბრუნდით უკან. წყაროსთან მსუბუქად სადილი, სიმხიარულე, სიმღერა, ყვავილების კრეფა, ჯან-ღონის მოკრეფა, შემდეგ გამოვემშვიდობეთ მირიანს და დავბრუნდით უკან.

ხუთ საათზე მოვედით ისევ მცხეთის სადგურზე. გადავსწყვიტეთ სვეტის-ცხოვლის ნახვაც. აქ მოხდა პატარა მოულოდნელი შემთხვევა. ყველა გაუდგა გზას. ბოლოს დავრჩით რვა კაცი და ერთი ეტლი. მეეტლე დახარბდა მეტ შაურებს, რვავე ჩაგვსხა ეტლში, თვითონაც მეცხრე და გაუტია გზას. წაღმა-უკუღმა ჯდომა, სიცილი, ხმაურობა, უმიზეზო ახალ-გაზრდული მხიარულება, მკვდარ ცხენების გამოცოცხლება, და მოვქროლავთ თავქვე ხიდისკენ.

ამ დროს ეტლს გამოსძვრა თვალი, ცხენებიც დაფრთხნენ. საფრთხე მოგველოდა, მაინც ვიცინოდით, მაინც ვხმაურობდით. ერთი წუთიც და მოსახვევში შესაძლო იყო ყველა მტკვარში გადავცვინულიყავით. ამ დროს ერთი ჩვენგანი სწვდა მთვრალ მეეტლეს მიერ მინებებულ აღვირს და როგორც იქნა შეაჩერა ცხენები.

შემდეგ ზოგი ფეხით, ზოგი სხვა ეტლით გავუდექით გზას. მცხეთასთან ვნახეთ არსენას საფლავი.

მივედით სვეტი-ცხოველში. კედლების გარდა ძველი თითქმის აღარაფერია. თეთრად შელესილი კედლები, უბრალო ლითონის მიტრები, არაფერი ძველი ნაშთი, ირაკლის, გიორგის და სხვა ბატონიშვილთა საფლავები. შთაბეჭდილება სიმდიდრის გახრწნისა, დაუდევრობისა, დაუფასებლობისა... ჩვენმა ხელმძღვანელებმა ზოგი რამ აგვიხსნეს და წავედით სამთავრის ქალთა მონასტრისაკენ.

შევედით. გარეგნულად შენობა იქ

უფრო შენახულია. შიგნით იგიც თეთრად არის გალესილი, მხოლოდ ნაგლეჯებად დატოვილი ძველი ნახატი, მირიანისა და მისი მეუღლის სახელები. არის მრავალი ნახატი მე-17—18 საუკუნისა.

იქავე წმ. ნინოს პატარა სამლოცველოა, სადაც სუფთად და კარგად არის შენახული ძველი მხატვრობა.

ადგილობრივ მასწავლებელმა ქალებმა პატივისცემით მიგვიღეს.

დაღამდა. დავილაღენით. იქავე იყვნენ სკოლის მოწაფე ქალები. გააჩაღეს სიმღერა, თამაში, თვითონაც გამხიარულდნენ, ჩვენც გაგვამხიარულეს და ყველა ეს მთვარიან ღამეში, ეკლესიის გალავანში საუცხოვო იდილიურ სურათს წარმოადგენდა.

დაღალულნი, დაქანცულნი, მაგრამ კმაყოფილნი და ნასიამოვნებნი რვა საათზე დავბრუნდით სადგურზე. თერთმეტ საათზე კი ისევ ტფილისში ვიყავით.

**ერთი მათგანი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ი. კარგარეთლის სალამო.** შაბათს, 3 აპრილს, ქართულ თეატრში ი. კარგარეთელმა გამართა საღამო: ჯერ ითამაშეს ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „ბებრის სალერღელი“ და ამას მოჰყვა ორ განყოფილებიდან შემდგარი კონცერტი.

ვასო აბაშიძის და ნატო გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით წარმოდგენილმა ვოდევილმა, რასაკვირველია, ცოცხლად და მხიარულად ჩაიარა.

კონცერტითაც, საერთოდ, კმაყოფილი დარჩა დამსწრე საზოგადოება. მონაწილეობას იღებდნენ: მომღერლები ბ-ნნი ი. პ. სარაჯიშვილი, ბროჯჯი და ქ-ნი პრესმანი, დამკვრელები ძმანი და და პალცევებისა, აგრეთვე ქალთა ხორო. ოვაციებით მოისმინა საზოგადოებამ მეტად ლამაზად და ხელოვნურად აღსრულებული ბ. სარაჯიშვილისმიერ არიები „რიგოლეტტო“-დან, „კარმენ“-დან და „ტოსკა“-დან. დიდის გრძნობით და სასიამოვნოდ იმღერა მხცოვანმა ბროჯჯიმაც არია სურათის წინ („ბალ-მასკარადი“) და ბარნაბის ძნელი ბალლადა პონკიელის „ჯიოკონდა“-დან. ქ-ნ პრესმანს, თუმცა პატარა ხმა ჰქონია, მაგრამ სასიამოვნო და მის მიერ აღსრულებული ჩაიკოვსკის და დარგომიჟსკის არიები საზოგადოებამ კმაყოფილებით მოისმინა. მხურვალე ტაშის-ცემით დააჯილდოვა საზოგადოებამ ნიჭიერი ახალგაზდა მემუსიკენი—პალცევები, რომელთაც, სხვათა შორის, ძალიან მოხდენილად დაუკრეს სკრიპკასა, ვიოლონჩელსა და როიალზე ყორღანოვის კავკასიური რაპსოდია.

საღამოს „ლურსმანი“, როგორც უცხოელები ამბობენ, უნდა ყოფილიყო ბ-ნ არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“ მგოსნის სიმღერა. ყველანი მოუთმენლად მოველოდით ამ ნომერს და უკმაყოფილონი ვიყავით, რომ ბოლოში მოექციათ იგი პროგრამის შემადგენელთ. მაგრამ მოლოდინი და იმედი მაინცა და მაინც ვერ გაგვიმართლდა: „მგოსნის სიმღერა“ მკრთალი ნაწარმოები აღმოჩნდა და საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. იქნება ცუდათ ამოგლეჯილი ნაწყვეტი იყო და მთელი ოპერა კარგიც არის, ამიტომ დიდათ სასურველია ჩვენმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ ითავოს მისი სრულიად დადგმა... და ბოლოს ქალთა ხორომ მწყობრად შეასრულა რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა („აღზევანს წაველ მარილისთვის“, „მურმან, მურმან—შენსა მზესა“ და სხვა).

თეატრი სავსე იყო ხალხით, რომელიც სიხარულით მიეგება ჩვენს მოღვაწეს მუსიკის ასპარეზზე, ბ-ნ ი. კარგარეთელს.

## ს პ ა რ ს ე თ ი

**სპარსეთის ფინანსები.**

ინგლისურ გაზ. „ტაიმს“-ის თეირანელი კორესპონდენტი სწერს, რომ სპარსეთის ფინანსების მდგომარეობა შედარებით შარშანდელთან, შესამჩნევად გაუმჯობესდა. სხვათა შორის, მოელიან, რომ შაჰის ძვირფას ნივთების გაყიდვისგან შემოვა 700,000 გირვანქა სტერლინგი. სახელმწიფო შემოსავალს მოუმატებს აგრეთვე ზარაფხანის გადასვლა ხაზინის ხელში; აქამდე ზარაფხანა და ფულის მოჭრის საქმე ევროპიელ ბანკირების ხელში იყო. დასასრულ, დიდი იმედი აქვთ შინაგან სესხისა, რომელსაც ასეთის თანაგრძნობით მიეგება სპარსეთის ხალხი.

**ინგლისის „ლურჯი წიგნი“ სპარსეთის საქმეებზე.**

გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოსცა „ლურჯი წიგნი“, რომელიც შეიცავს ინგლისის და რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროების მიწერ-მოწერას წასულ წლის 17 მაისიდან 30 ნოემბრამდე. ამ მიწერ-მოწერიდან ცხადად ჩანს, რომ რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო იცავდა მამედ-ალი-შაჰის ინტერესებს, ხოლო ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი გრეი მეცადინეობდა, რომ რუსეთის ჯარი არ გაეშვა შუაგულ სპარსეთისკენ.

**თათბირი სპარსეთის საქმეებზე.**

„რუსკ. სლოვო“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: „რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში ამ დღეებში მოახდენენ რამდენსამე თათბირს სპარსეთის საქმეთა თაობაზე. სამინისტროს კომისია მოილაპარაკებს როგორ უნდა მოიქცეს რუსეთი იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის ბანკები სპარსეთის მთავრობისაგან რკინის გზების აშენების კონცესიას მიიღებენ და სპარსეთს გარეშე სესხს მოუხერხებენ.

**სათარ-ხანი და ბაღირ-ხანი თეირანში.**

დეპეშიდან ვიცით, რომ სათარ-ხანი და ბაღირ-ხანი უკვე შევიდნენ თეირანში. როგორც მოსალოდნელი იყო თეირანელები დიდის ამბით დახვდნენ სპარსეთის რევოლიუციის ორსავ გმირს. მრავალი დეპუტაცია ქალაქ გარედ, თეირანიდან 72 ვერსის სიშორეზე მიეგებებია მათ. გზაში ყველგან დიდის ამბით უხვდებოდნენ ახლო-მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი. მირაბადში დიდს ჩარდახს ქვეშ სრულიად შეიკრიბნენ მეჯლისის დეპუტატები. ხალხმა ხელში აიყვანა სათარ-ხანი და ისე გაატარა ტრიუმფალურ ჭიშკარში. ამ დროს მუსიკა უკრავდა. ხალხი ყვიროდა „ურას“, ტაშს უკრავდა, თავს ევლებოდა და ხელებს, ტანისამოსს და ფეხსაცმელს უკოცნიდა სათარ ხანს. მერე, სათარ-ხანი ხელითვე შეიყვანეს ბაღში, აქვე მირაბადში მივიდა შაჰის ეტლი, რომლითაც სათარ-ხანი და ბაღირ-ხანი წავიდნენ თეირანში სასახლის კონვოის თანხლებით. მირაბადიდან თეირანამდე 12 ვერსის მანძილზე, ორსავ მხარეს იდგა აურებელი ხალხი ნაშუადღევის 6 საათზე სათარ-ხანი და ბაღირ-ხანი შევიდნენ თეირანში და დაუყონებლივ გაემართნენ ზამთრის სასახლეში. სადაც ორივე იმ წამსვე მიიღო რეგენტმა. ქუჩებში ყველგან ხალხი იდგა და ოვაციებით ეგებებოდა მათ.

ამავე დახვედრის თაობაზე „ბაქუ“-ს ატყობინებენ თეირანიდან:

„წარსულ პარასკევს თეირანში შემოვიდნენ სათარ-ხანი და ბაღირ-ხანი. ხალხი დიდის ამბით მიეგება. ყველა წოდება, ყველა ამქარი ერთის სიტყვით, მთელი ხალხი, ეროვნებისა და სქესის განურჩევლად გავიდა ქალაქ თეირანიდან 20 ვერსის მანძილზე კარვები დასცა და ტრიუმფალური ჭიშკარი გამართა. ჯარმა, თვით ყაზახთა ბრიგადამაც; საპატიო რაზმები დააყენა გზა და გზა. რეგენტმა საკუთარი ეტლი გაუგზავნა სათარ-ხანსა და ბაღირ-ხანს“.

## შორეული აღმოსავლეთი

**ომის მოლოდინი.**

ამერიკულ პრესსის ნაწილი ირწმუნება, რომ ომი იაპონიასა და ამერიკას შორის აუცილებელია, და ამიტომ მოითხოვს ამერიკის ფლოტის გაძლიერებას და ამისთვის საჭირო ფულის გადადებას.

ტოკიოში მოახდინეს დიდებული კრება, რომელსაც დაესწრნენ ევროპიელი და ამერიკელი ჟურნალისტებიც, და დაადგინეს რეზოლიუცია, რომ იმ ხმას, ვითომ ამერიკასა და იაპონიას შორის ომი აუცილებელია, არავითარი საფუძველი არა აქვსო.

ამერიკული გაზ. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ მკაცრად ჰკიცხავს იაპონიასა და რუსეთს, რომლებიც ჩინეთს მანჯურიას ართმევენო. „რუსეთისა და იაპონიის განზრახვა აშკარაა და ეს განზრახვა არც ისეთი გულ-უბრყვილოა, როგორც ზოგსა ჰგონიაო“,—სწერს ეს გაზეთი, მაგრამ იგი იქვე დასძენს, რომ საქმე შეტაკებამდე და ომამდე მაინც არც მივაო“.

## უ ც ხ ო ე თ ი

**პარლამენტის სესიის დასრულება საფრანგეთში.**

25 მარტს საფრანგეთის პალატამა და სენატმა დაასრულეს თავიანთი მოქმედება. დეპუტატთა პალატის შემდეგი სხდომა დანიშნულია მომავალ 1 იგნისისთვის (ახალი სტ.), როდესაც იგი არჩევნების შემდეგ პირველად შეიკრიბება განახლებულის შედგენილობით.

ცხლანდელ სენატისა და პალატის უკანასკნელი სხდომები მოუნდა იმ უთანხმოების მოწეს-რიგებას, რომელიც მათ შორის გამოიწვია 1910 წლის ბიუჯეტის ზოგიერთმა მუხლმა. 25 მარტს, უკანასკნელ სხდომის დროს, ეს უთანხმოება, როგორც იყო, მოწეს-რიგდა. იმავე უკანასკნელ სხდომის დროს სოციალისტმა დეპუტატებმა მკაცრი დემონსტრაცია გამართეს სენატის წინააღმდეგ. საზოგადოთ სენატის მოქმედება დიდ უკმაყოფილებას იწვევს არა თუ მარტო სოციალისტებში, თვით რადიკალებშიაც კი. უკმაყოფილონი ჩივიან, რომ სენატი მეტად მძიმედ მოქმედებს, ძლიერა სცვლის პალატის მიერ მიღებულ კანონ-პროექტებს (მაგალითად, ძლიერ შესცვალა კანონ-პროექტი მუშათა პენსიებზე), მეტად აგვიანებს ბიუჯეტის განხილვას და სხვა. სხვათა შორის, სოციალისტმა დეპუტატმა ბედუსმა განაცხადა ტრიბუნიდან: „ჩვენ უფლება გვაქვს ხმა მაღლა უთხრათ ჩვენს ამომრჩევლებს: ძირს სენატი!“ მაგრამ იგი მკაცრად გააჩერა პალატის თავმჯდომარემ ბრისონმა.

საღამოს 10 საათზე ყველა მიმდინარე საქმეების განხილვა დაასრულეს და ბრისონმა წარმოსთქვა გამოსამშვიდობებელი სიტყვა, რომელშიაც აღნუსხა ეხლანდელ პალატის ნამოქმედარი. მან აღნიშნა კანონები, გამოცემული მშრომელ კლასთა დასაცველად, კრედიტის მოწყობა მიწის წვრილ მესაკუთრეთათვის, გაფართოება კანონისა მოხუცებულთა და დაშავებულთა მფარველობის შესახებ და სხვა. „თითქმის მთელი ორი წელიწადი თქვენ მოანდომეთ შემოსავლის დაკვრალად გადასახადის შესახებ კანონის შემუშავებას. მხოლოდ თქვენი მოადგილეები აქცევენ მას ნამდვილ კანონად, მაგრამ თქვენ მაინც გეკუთვნით ის სახელი, რომ პირველნი შეუდექით მის შემუშავებას. დასასრულ, თქვენ დაამტკიცეთ კანონი მუშათა და გლეხთა პენსიებზე“.

ბოლოს პალატის ვიცე-პრეზიდენტმა ბელტამ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა ბრისონის პატივსაცემლად და პალატის სესსია დაიხურა.

## რუსეთი

**რუსეთის საზღვარ-გარეთელი პოლიცია.** გაზეთი „პეპლ“-ის სიტყვით ბელგიაში ხელ-ახლად მუშაობა დაუწყვია რუსეთის საიდუმლო პოლიციას. ამას გარდა საფრანგეთსა, ჰოლანდიასა, იტალიასა და შვეიცარიაში რუსეთის მთავრობას აგენტებად სულ ახალი პირები დაუნიშნიათ. გაზეთს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ რუსეთის საზღვარგარეთელ პოლიციის უფროსად ნამყოფს, ცნობილ პროვოკატორ გარტინგს საბოლოოდ მიუტოვებია სამსახური და ამ ჟამად პენსიად 6000 მანეთი ეძლევა.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვს: პეტერბურგში 2, ოდესსაში 3, უფაში 4, ვარშავაში 1, ხარკოვში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: სიმფეროპოლში 1, პეტერბურგში 2, ხარკოვში 1, ვარშავაში 1, ეკატერინოსლავში 3 კაცი.

## განცხადებანი

### პასუხად ბ-ნ კოხრეიძეს

ბ-ნი კოხრეიძე მთხოვს თქვენი გაზეთის პირით, რომ მე, როგორც თავმჯდომარემ მისსა და ყ. კოპალეიშვილის შორის დავის გამრჩევ სამედიატორო სასამართლოისა, მოვიწვიო ხელ-ახლა ძველი სამედიატორო სასამართლო და გავარჩიოთ მისი ახალი საბუთები, რომელიც მისი, კოხრეიძის სიტყვით, ხელთა აქვს და რომელიც სამუდამოდ ჩააჩუმებს ბ-ნ ყ. კოპალეიშვილს მე, როგორც ყოფილი თავმჯდომარე ამ სასამართლოსი, მოვახსენებ ბ-ნ კოხრეიძეს, რომ მისი თხოვნა არ შემიძლია შევასრულო, რადგან სადაო საკითხი მისსა და ყ. კოპალეიშვილის შორის პირადად მე და მთელ სამედიატორო სასამართლოსაც დასრულებულად მიაჩნია იმ ფარგალში, რომელშიაც საქმის გარჩევის დროს იყო ის, რაზედაც მთელი სამედიატორო სასამართლო ერთი აზრისა იყო და გადაწყვეტილებაც ერთხმად მიიღო, რაზედაც მოდავე თანხმანი იყვნენ და თავიანთ ხელის მოწერით დაადასტურეს ჩვენი გადაწყვეტილება. ეხლა კი ურჩევ ბ-ნ კოხრეიძეს, თუ რამე ახალი საბუთები იპოვა კოპალეიშვილის გასამტყუნებლად იმ საშუალებით, როგორც კოპალეიშვილი აწარმოვებს საქმეს, უგის პასუხი, ან გამოიწვიოს ახალ სამედიატორო სასამართლოში. ჩემის მხრით კი უარს ვაცხადებ ამ საქმეს დავუბრუნდე გასარჩევად, რადგან იგი უკვე მთავრობის სასამართლოშია გადატანილი. **გიორგი სიხარულიძე.**

(1—6.—1)

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**იყიდება** კავკასიაში პირველი სასტერილიზაციო ლაბორატორია რძისა, ღვინისა, ლუდისა და სხვა სასმელების სტერილიზაციისათვის. ლაბორატორია ჯერ არ გამართულა და იყიდება სხვა და სხვა საპატიო მიზეზებისა გამო. ფასი 900 მანეთი.

ა დ რ ე ს ი: მიხეილის ქ. N 146, იკითხონ მასწავლებლის ბინაზე. (2—224—2)

ტფილისის ქალაქის

**გ ა მ გ ე ო ბ ა**

სთხოვს იმ პირთ, რომელთაც მე-10, 11 და 12 საპოლიციო ნაწილებში გადაიხადეს ქალაქის გადასახადი ამ კვიტანციებით №№ 28903, 28905 და 28916 (კვიტანციები გაცემულია ფულის მომკრეფის ფედოროვის მიერ), წარადგინონ ეს კვიტანციები ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში საქმის დღეს 10-დან 2 საათამდე აღძრულ უთანხმოების გამოსარკვევად. (3—6.—3)

## 300 მანეთს საჩუქრად

მიიღებს ყველა, ვინც დაამტკიცებს რომ ეს ჩვენი არა ჩვეულებრივ ფასებში გამოგზავნილი გრამოფონი 12 ფირფიტათი და 1000 ნემსით არა ღირს ამ ფასად—გაგზავნით მხოლოდ 13 მან. 85 კაპეიკად.



**გამოიწერეთ და დარწმუნდით!**

მშვენიერი და მკვიდრი გრამაფონი „სალონ-კონცერტი“ ახალის ტიპისა, ცნობილ „მონარხ“-ის მარკისა, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება ძვირფას გრამაფონებს! ეს გრამაფონი... მაღალი ხმით... საუკეთესო ფირფიტებს... სრულებით არ იცის ჩრიალი. მოსართავი გვერდიდანა აქვს, რეგულიატორით სწრაფის და ნელი დაკვრისათვის. ... „ლუქსი“, მებრანა კონცერტისა, ორხეოსი „სიმფონიონი“, გრამოფონის ყუთის ზომა 20×20×10 სანტიმეტრია. ... შეიძლება ფას-დადებით და ისე გამოუგზავნელად. ვინც გრამოფონის ფასს ერთბაშად წარადგენს, უფასოდ მიიღებს ზედმეტად 4 ფირფიტას.

ადრესი: Единств. Представ. Французск. фабрика граммафоновъ Ко. „Бенъ“, Варшава. 105—291, საკონცერტო ფირფიტები „გრანდ ექსტრა“ ზომით 25½ სანტიმეტრი. ფასი 75 კაპ. და 1 მან. 25 კაპ.

ციმბირში გასაგზავნად ზედ-მეტი გადასახადი 1 მან. 75 კაპ.

**ვ ი ს ა ც ს უ რ ს** შეგვიძლიან დაუსახელოთ ის პირნი, ვინც მადლობის წერილები გამოგვიგზავნა.

(Метцль и Ко. N 17223.) (2—6.—2)

## ქართველ საზოგადოებას

ქართული **სახალხო** და **საყმაწვილო** წიგნების გამოცემა თითქმის მთლად მოისპო და შესწყდა ჩვენში, აღარავინა ჰყავს მას მფარველი და პატრონი. დღეს მთელი ჩვენი სამწერლო ძალა ხმარდება მხოლოდ ჟურნალ-გაზეთობას, მაგრამ ვინ არ ვიცით, რომ მარტო ეს არა კმარა და იმავ დროს უთუოდ წიგნების გამოცემის საქმესაც უნდა ვათხოვოთ ყური. წიგნი იაფი და მარტივია, შეიცავს ერთი რომელიმე საგნის აღწერას და ამიტომ უფრო ადვილია მისით ხალხში ცოდნის შეტანა. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ წიგნის გამოცემა თხოულობს დიდ ფულსა და კიდევაც ეს არის უმთავრესი მიზეზი, თუ რატომ ასე მცირედ ჰყავს მას თავ-დადებული მოჭირნახულე. იმ დროს, როცა ჟურნალ-გაზეთი შეიცავს წერილებს და ახალ ამბებს სადღეისო პირ-ვარამზე, რომელთ წაკითხვა და გაცნობა შეადგენს აუცილებელს მოთხოვნილებას ყოველი შეგნებული ადამიანისთვის და ამიტომაც სადღება იგი გამოსვლისათანავე, წიგნის გასყიდვას, პირიქით, სჭირია ხშირად მთელი ათი და ოცი წლები. მოდი და ემსახურე წიგნის გამოცემის საქმეს ასეთს პირობებში, მეტადრე ისეთს პატარა ერში, როგორც ქართველობაა!?..

მაგრამ არის ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან ავად თუ კარგად ასულდგმულოს წიგნების **შეუფერხებლად** გამოცემის საქმეცა. ჩვენ მოგახსენებთ **ხელის მოწერაზე.** მდგომარე 1910 წლისათვის ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვცეთ პირველი მაისიდან **24 სახალხო და საყმაწვილო წიგნი**, ე. ი. სამ-სამი წიგნი თვეში და რომ არც მსურველთ გაუჭირდეთ ხელის-მოწერა და ჩვენც შეგვეძლოს სულ პატარა რედაქციის მაინც შენახვა, ხელის-მოსაწერ ფასად ვნიშნავთ მხოლოდ **ორ მანეთს**, გაგზავნით, იმათთვის, ვინც ამ ფულს შემოიტანს ერთად მკაათვის პირველამდის და **სამ მანეთს** იმათთვის, ვინც ამ ფულს შემოიტანს ერთად ანუ თითო მანეთობით ენკენ ისთვის პირველამდის...

ამ ჟამად ჩვენ განმზადებული გვაქვს გამოსაცემად შემდეგი, არა ნაკლებ 16—32 გვერდისა, თხზულებანი: 1) უსაჭიროესი ცნობანი პურის თესვა-მოყვანაზე; 2) იონჯაბალახის თესვა-მოყვანა და მისით მეწველი საქონლის მომრავლება ოჯახში, როგორც ერთი საუკეთესო საშუალება ჩვენი დაცემული ოჯახის გამოსაბრუნებლად; 3) ძირითადი საშუალება ჩვენი სასოფლო მეურნეობა-მრეწველობის აღორძინებისა და უმამულო გლეხთა **უფულოდ** მამულით დაკმაყოფილებისა; 4) ვენახისა და ხეხილის ბაღების გაშენება; 5) ვაზის და ხეხილის ავადმყოფობანი და წამლობა; 6) ღვინის დაყენება-გაუკეთესება, წახდენა და წამლობა; 7) საბოსტნე მცენარეების თესვა მოყვანა, მოხმარება და შენახვა; 8) რა არის პოლიტიკური ეკონომია? 9) ზნეობა და პოლიტიკური ეკონომია; 10) ქალაქი და სოფელი; 11) სახლების ამშენებელი ამხანაგობანი და მათი მოწყობა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში; 12) აღორძინების ეპოქის გავლენა სწავლა-აღზრდაზედ; 13) ახალი წესი წერა-კითხვის სწავლებისა და სახალხო-საოჯახო ანბანი, შავი, დიდი ასოებით დაბეჭდილი; 14) ერთ-წლიანი კურსები სამშობლო ენისა ანუ რით და როგორ ვასწავლოთ მოზრდილებს წერა-კითხვა სულ იაფად და ჩქარა; 15) ადამიანის ძვლები, კუნთები, ტვინი და ნერვები; 16) ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა; 17) ორსულობა-მშობიარობა და ბავშვების გამოკვება; 18) გადამდები ავადმყოფობანი; 19) დედამიწის შუაგული და მიწისძვრანი; 20) ვარსკვლავთ მრიცხველობა ანუ ასტრონომია; 21) საქართველოს დედა-ქალაქნი—მცხეთა და თბილისი (სურათებით); 22) სამწუხარო განთიადი (ისტორიული მოთხრობა); 23) გულ-უბრყვილო გლეხი (სურათებით, პატარებისთვის); 24) ღრუტუნას ნაამბობი (სურათებით, პატარებისთვის); 25) ვირის თავ გადასავალი (სურათებით, პატარებისთვის); 26) უძველესი მოგზაურები (სურათებით, მოზრდილთათვის); 27) ამერიკის აღმოჩენა ქრისტეფორე კოლუმბის მიერ (სურათებით, მოზრდილთათვის); 28) ახალი მოგზაურები (სურათებით მოზრდილთათვის) და სხვა და სხვ.

რედაქცია იტოვებს უფლებას შენაცვლოს ზოგიერთი აქ მოხსენებული მასალა სხვა უფრო უკეთესით. ვსთხოვთ წიგნებით მოვაჭრეებს, მღვდლებს, მასწავლებლებს და საზოგადოთ ყველას, ვისაც სწადიან ხელი გაგვიმართოს დაწყებულს საქმეში ითავონ ხელის-მომწერლების შოვნა თავიანთ ნაცნობებში და მოკრეფილი ფული, შემომტანთა სახელ-გვარით, ზემოთ-გამოცხადებულ ვადაზე მოგვაწოდონ (უამისოთ წიგნები არავის არ გაეგზავნება), მანეთზე ორი შაურის გამორიცხვით ხარჯისთვის. საჭიროა აგენტები ტფილისში.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის მისამართით: въ Тифлисъ, Тумановскій переулокъ, № 38, Ивану Павловичу Ростомашвили. (3—211—3)

◀ **ს რ უ ლ ი პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა** ▶

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე

## „ფეხსაცმელების სახელოსნო“

გვაქვს მზად შეკერილი ფეხსაცმელები ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის საკუთარი ნამუშავარი—შევროსი, ხრომისა და სხვა მასალისა, აგრეთვე ვკერავთ შეკვეთით ხუფთად, მკვიდრად და დანიშნულ ვადაზედ. საქონლის სიკარგისათვის ვკისრულობ სრულ პასუხის მგებლობას.

ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ზოთაროვისა N 28.

პატივისცემით **ივ. სვ. ბერძნიშვილი.**

◀ **ს რ უ ლ ი პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა** ▶ (25—6.—16)

## შემთხვევით იყიდება

ძლიერ იაფად ორ სართულიანი სახლი. შესდგება 13 ოთახისა და 6 სამზარეულოსაგან. მიწა ზომით 60 ოთხკუთხი საჟენი. ავლაბარში, თელავის ქუჩა, № 17. არამანცის საავადმყოფოს ახლო. შეიძლება იჯარითაც გაცემა. პირობების გაგება შეიძლება იქვე.